№ 134

ოთხშაბათი, 3 აგვისტო

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება: ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დაუბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 134

ოთხშაბათი, 3 აგვისტო

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., [illegible] განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჯარო ბიბლიოთეკა

დეკანოზი ლუკა თედორეს ძე ჭიპაშვილი და ასული მისი მარო აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის—პირველის—მეუღლისა, ხოლო მეორის—საყვარელის დედის

ფეოდოსია ალექსის ასულის ჭიპაშვილის

სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქმნება საქარის მაცხოვრის ეკლესიაში, ხუთშაბათს, 4 აგვისტოს, დილის 10 საათზე. (3—2)

ახალი წიგნი
ეროვნული ენა
თხზ. პეტრე სურგულაძისა
გამოცემა „ცისკარისა“ № 2.—ფასი 15 კაპ.
იყიდება შემდეგს ადგილებში:
ტფილისი: გაზ. „ივერიის“ კანტორა, და „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება“.
ქუთაისი: ამხ. „კოლხიდა“, ვ. ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზია და ქუთ. წიგ. გამ. ამხანაგობის კიოსკი.
ბათუმი: „ამხ. გეორგია“.
ფოთი: ლ. ახობაძე.
ოზურგეთი: ვ. ს. ხუნდაძე
ჭიათურა: ირაკლი დეკანოზიშვილი
გორი: მიხეილ არჩვაძე.
ახალციხე: ს. ე. ღვთისავარიშვილი.
ახალ-სენაკი: იოსებ ცაბაძე.

ახალი წიგნი
გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე „ივერიის“ რედაქციაშიაც
ნაწერები
პეტრე უმიკაშვილისა
გამოცემა „ცისკარი“-ს ამხანაგობისა.
წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილუსტრაცია.
ფასი 30 კაპ.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
მ. უ ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
გ. აშეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.
ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.
ბ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.
საღამოობით:
ხ. ქ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.
პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.
ხ. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.
კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაჭაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ბიუროკრატია და ხალხის ეკონომიური მდგომარეობა

რისთვის არსებობს სახელმწიფო, რა მიზანი უნდა ჰქონდეს მთავრობის უფლებას? პასუხი ერთია,—სახელმწიფო ხალხისთვის არსებობს, მთავრობა უნდა მოქმედობდეს ხალხის საკეთილდღეოდ. როგორც ხალხის მოსამსახურე, მთავრობა ვალდებულია მისი ჭირი ჭირადვე მიიმჩნიოს და ილხინოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ხალხსაც სალხენად სცალია, როდესაც თვით ხალხი ლხენის გუნებაზეა.

მთავრობის და ხალხის ასეთი თანხმობა იქ არის, სადაც ხალხი თვითონ ირჩევს თავის მთავრობას, სადაც ხალხის წარმომადგენლობაა შემოღებული და სადაც ხალხს არჩევნების დროს შეუძლიან გადააყენოს ის წარმომადგენელი, რომელიც მიზნად არ ისახავს ხალხის კეთილდღეობას...

ბიუროკრატიას უხალხოდ ერთ დღესაც არ შეუძლიან [illegible] არ შეუძლიან იმიტომ, რომ ხალხი იხდის ათასნაირ გადასახადს, რომელიც ამ ბიუროკრატიის ჯამაგირებს უნდება,— ხალხს კი ადვილად შეუძლიან გადააყენოს ბიუროკრატია და მის მაგიერად დააყენოს ისინი, ვინც მისი სანდოა, ვინც ეცდება ხალხის სარგებლობას ემსახუროს თავისი ძალ-ღონით... სწორედ ამიტომ არის, რომ ყველგან დასავლეთ ევროპაში, სადაც ხალხს ვეღარ აუტანია ბიუროკრატიის გაბატონება, სადაც დიდი ხნის დაგუბებული უკმაყოფილება იმ წერტილამდე მისულა, რომ ხალხი აშკარად შებრძოლებია თავის დამმონებელ ბიუროკრატიას,—გამარჯვება ყოველთვის ხალხს შერჩენია და გუშინ ბიუროკრატიის მორჩილი მონა,—თავისუფალ მოქალაქედ ქცეულა...

ბიუროკრატიას თავის ბატონობისთვის სჭირია ფული,—უფულოდ ერთი ბიუროკრატიც აღარ დარჩება სამსახურში,—იდეის გულისთვის მშიერ კუჭზე არც ერთი მათგანი არ მოისურვებს ემსახუროს... თვით ჯარი ბიუროკრატიის მთავარდამცველი, უფულოდ ერთ დღესაც არ შეინახება,—ამ აუარებელ ხალხს ჭამა სჭირია და ჭამა უფულოდ არ მოხერხდება.

ამიტომაც ცხადია, რომ ყველგან ბიუროკრატიის არსებობისთვის ფულია მიუცილებლად საჭირო,—უფულოდ თავის-თავად იშლება მისი სხეული ისევე, როგორც უჭმელად კვდება ადამიანი.

ცხადია, ფინანსებს დიადი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ არსებულ ბიუროკრატიის ბატონობისთვის, სადაც ხალხი გაღარიბებულ-გაღატაკებულია და გადასახადს ვეღარ იხდის, სადაც ბიუროკრატია იმდენად სახელ გატეხილია, რომ ფულს აღარ ანდობს არავინ და ამიტომ შეუძლებელი ხდება სახელმწიფო სესხები,—იქ ბიუროკრატიის დღენი დათვლილი არის და, დღეს იქმნება თუ ხვალ, მოელება ბოლო მის არსებობასაც...

მმართველი წრეები, მთელი სახელმწიფო მართვა-გამგეობის რთული მანქანა ხალხის საკეთილდღეოდ უნდა მოქმედებდეს... ხალხის კეთილდღეობა მათ არსებობას ამართლებს და არსებობისთვის ნიადაგსაც უმაგრებს...

სახელმწიფო მართვა-გამგეობას, ხალხის სამსახურში სამი მთავარი მიზანი უნდა ამოქმედებდეს: უნდა იყოს უზრუნველყოფილი ადამიანის სიცოცხლე, მისი მშვიდობიანი კერძო და საზოგადოებრივი საქმიანობა და ცხოვრება და ნორმალური კულტურული განვითარება.

ამიტომ ყოველი ომი, სადაც ბიუროკრატიის ნებით და ბიუროკრატიის გასაძლიერებლად სადმე შორეულ ქვეყნებში ათასობით იხოცება ხალხის საუკეთესო შვილები, ხალხის ინტერესების წინააღმდეგია; ასეთი ომი მხოლოდ უფრო აშკარად ხდის, რომ ბიუროკრატიას მიზნად ხალხის კეთილდღეობა არა აქვს, მით უფრო მაშინ, როდესაც ეს ომი ხალხის დაუკითხავად და მის ნებადაურთველად იწყება...

ამიტომ საფინანსო პოლიტიკაც, რომელიც მთელი თავისი სიმძიმით ღარიბ ხალხს აწვება კისერზე, ათასნაირ არა-პირდაპირ გადასახადის სახით, შეუმჩნეველად აცლის ხელიდან მუშა ხალხს მის ოფლის მონაგარ გროშებს, რომლიც სადამოუნო ბაჟების შემოღებით აძვირებს ცხოვრებას, რომელიც ხალხის ფულს სხვადასხვა გაკოტრებულ მრეწველის გამდიდრებას ანდომებს —ასეთი პოლიტიკაც ხალხის ინტერესებს ეწინააღმდეგება და ისედაც გაღარიბებულ ხალხის უმეტესობას მეტ სიღარიბეში აგდებს და აღატაკებს.

რუსეთში, სადაც ხალხის დიდი უმეტესობა სოფლის მეურნეობას ადგია და სოფლად ცხოვრობს, სადაც ხალხის გაუნათლებლად დატოვება, საპასპორტო სისტემის შემოღება ყოველივე კერძო ინიციატივის მოსპობა და ბიუროკრატიული აპეკაც თითის განძრევის უფლებასაც არ აძლევდა არავის, გლეხების უმეტესობას მიწის დამუშავებულ პირუტყვად აქცევდა და გლეხს აბამდა სოფელში ისე, როგორც პირუტყვს აბამენ ეზოში.

ამნაირი რეჟიმი ვერ შექმნიდა ხალხის კეთილდღეობას...

ბიუროკრატია, რომლის ყოველი მოქმედება რაღაც საიდუმლოებით მოცული იყო, რომელიც მუდამ უმალავდა ხალხს თავის მოქმედებასა და განზრახვას,—საფინანსო პოლიტიკაშიაც იმავე გზას ადგა და პირდაპირ, ყველასათვის აშკარა გადასახადების მაგივრად სცდილობდა არა პირდაპირ გადასახადების გამრავლებას და გადიდებას... ყველაფერს, რასაც ვჭამთ, რაც გვაცვია და რასაც ვყიდულობთ, გადასახადი ადევს; ამ გადასახადს იხდის მწარმოებელი, იხდის ვაჭარი და შემდეგ ფასის მომატების საშუალებით ახდევინებს ყველას, ვინც ამა თუ იმ საქონელს ყიდულობს.

პირდაპირი გადასახადი შემოსავლის ან ქონების ვალობაზე ხდება ყველას; ვისაც ბევრი აქვს, ბევრს იხდის,—არაფრის მქონე თავისუფალია გადასახადებისაგან,—არა პირდაპირ გადასახადს კი ვერავინ ვერ გაექცევა. ნავთი, მარილი სჭირია ყველას, განათება ღარიბის ქოხში ისევე [illegible], როგორც მდიდარ კაცების სასახლეებში და, ამის მიუხედავად, ღარიბი კაცი, თითო ნაყიდ ფუთ ნავთზე იმდენსავე ბაჟს იხდის, რამდენსაც იხდის რომელიმე მდიდარი. ამიტომ პირდაპირი გადასახადი უფრო ღარიბებს აწვება კისერზე, მდიდრებისთვის კი ადვილი გადასახდელია.

და, აი, ამნაირ უსამართლო და ხალხის უმეტესობისათვის მავნებელ გადასახადებზე აგებს თავის საფინანსო პოლიტიკას ბიუროკრატია... და ღარიბ კაცის უკანასკნელ ლუკმა პურსაც არ ანთავისუფლებს გადასახადისაგან.

ხალხის გონებრივსა და ქონებრივს დაბეჩავებას ხალხში ყოველგვარ ინიციატივის მოსპობას ერთად-ერთი შედეგი უნდა მოჰყოლოდა,—ხალხის გაღატაკება—ეს კიდევაც ასე მოხდა. როგორც მსოფლიო მრეწველობაში დრო-გამოშვებით კრიზისები ხდება, ისე რუსეთის სოფლებსაც დრო-გამოშვებით ეწვევა შიმშილი...

ეს სიმშილობა რუსეთს წინად რამდენჯერმე გამოუვლია. უკანასკნელ დიდ შიმშილობის ამბავი ყველას ახსოვს,—მაშინ რუსეთის ოც გუბერნიაში მოუსავლობა იყო. მთავრობამ საჭიროდ სცნო საზღვარ გარეთ ხორბლეულის გატანა აეკრძალა, მილიონობით გროვდებოდა ფული დამშეულების დასახმარებლად, ერობა არაფერს არ ზოგავდა საშველად და მაინც წელიწადმა საშინელ სიზმარივით გაიარა და ხალხი ათი-ათასობით იმსხვერპლა, — ზოგი შიმშილით მოკვდა, ზოგიც სხვადასხვა ავადმყოფობით, რომელიც დასუსტებულ სხეულს ადვილად ეკიდებოდა.

ახლაც გაზეთებში ყოველ დღე იწერება ამბები, რომ რუსეთს ისევე დიდი მოუსავლობა ეწვია,—უკანასკნელ დიდ შიმშილობის დროს თუ ოც გუბერნიაში დარჩა უპუროდ ხალხი, ახლა მოუსავლობა 26 გუბერნიაში ყოფილა; ხალხი შველას ითხოვს, ამასვე ითხოვენ გაზეთები, დამშეულ სოფლებს ეპარება ხოლერა, რომლის საშინელი ნიშნები აქა-იქ უკვე აშკარა ხდება.

რას შვრება ბიუროკრატია? ბიუროკრატია ხალხს ამშვიდებს,—ერთ ადგილას თუ მოუსავლობა არის, სხვაგან სამაგიეროდ კარგი მოსავალი მოვიდა წრეულსო; მართალია, ძნელი მდგომარეობაა, მაგრამ მაინც საქმეს აზვიადებენო და სხვა ამისთანები... თითქო ამნაირ სიტყვებით შეიძლებოდეს დამშეულ ადამიანის გაძღომა ან ხოლერის მოსპობა!..

სხვაგან მოსავალია,—მაგრამ ვინ გადიტანს ამ ზედმეტ მოსავალს იქით, სადაც ხალხი შიმშილით კვდება, ვინ მისცემს დამშეულს ფულს, რომ პური იყიდოს, ვინ არჩენს იმათ, ვისი შვილი ან ქმარი შორეულ-აღმოსავლეთში გაგზავნილა საომრად?..

ბიუროკრატია? ის ბიუროკრატია, რომელმაც თავისი სრული უვარგისობა ქვეყანას დაანახა და თვითონაც აღძრა საჯაროდ? რომელიც ახლაც ჭირის დამალვას სცდილობს... რომელსაც საშველად ფულიც არა აქვს, ვინაიდან ფული ომს სჭირია და? რომელმაც თავის პოლიტიკით თვითონ გამოიწვია ეს შიმშილობა?

ყველამ იცის, რომ ბიუროკრატიას ეს საქმე არ ძეუძლია და ახლაც იგი ცდილობს დამშეულ ხალხის დახმარება ერობას მოახვიოს თავზე, მაგრამ ერობა რუსეთში ამაზე უარს აცხადებს და ამბობს, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში იკისრებს ამ საქმეს, თუ მას მიენიჭება სრული თავისუფლება და რუსეთში შეიცვლება არსებული რეჟიმი, ე. ი. იმ შემთხვევაში, თუ ბიუროკრატია ხელს აიღებს თავის ბატონობაზე რუსეთში.

ამნაირად, ბიუროკრატია ისეთ მდგომარეობაშია ჩავარდნილი, რომ მას ორსავე შემთხვევაში გადაყენება მოელის: ერობა არ კისრულობს დამშეულ ხალხის დახმარებას, თუ ბიუროკრატიამ ასპარეზი არ დასცალა თავის ნებით, ხოლო თუ თვითონ იკისრა საქმე—ვერაფერს ვერ შეასრულებს, ისედაც შეწუხებულ ხალხს უფრო გააბრაზებს და ბოლოს იძულებული შეიქმნება გადადგეს:

ბიუროკრატია, რომელმაც ხალხი გააღარიბა და შიმშილობამდის მიიყვანა, რომელმაც დაიწყო საშინელი ომიანობა და მას ასი ათასობით უმსხვერპლა ხალხის საუკეთესო შვილები, რომელმაც გონებრივად და ზნეობრივად ხალხის დაბეჩავება მოინდომა, ეს ბიუროკრატია გამოფხიზლებულ და ზოგან შიმშილისაგან გამწარებულ ხალხს თავისუფლებისადმი მისწრაფებას ვერ დაუხშობს და ბოლოს იძულებული იქმნება გადადგეს და ხალხის გაბატონებას გზა დაუთმოს...

ი. ლ—ძე

რა არის საჭირო

—

საზოგადოებრივ ინტერესებს პრესსა ყოველთვის დარაჯად უდგას ხოლმე. მისი მიზანია—ამ ინტერესების განსჯა-განხილვა და მომწიფებულ საკითხების წესიერი გადაწყვეტა. პრესსას [illegible] კუთრებული [illegible] ხანაში ეძლევა. [illegible], რომელიც პროგრესიულ საზოგადოებრივი მიმდინარეობის გამომხატველია, ხალხს გულის სიღრმეში სწვდება და ცხოვრებისაგან წამოყენებულ პრობლემების თავისუფალ განხილვისაკენ მიიწევს. ამისთანა დროს პრესსის ჩახშობა გონების დახშობასა და წყვდიადის გამეფებას ნიშნავს. ეს გონების დახშობა უსათუოდ სტიქიურ ძალებს გაბატონებს.

პრესსის თავისუფლების მოწინააღმდეგენი, პროგრესიულ გაზეთებს, სხვათა შორის, იმაშიც ამტყუნებენ, რომ მათ საზოგადოებას ხელოვნურად მოახვიეს თავზე საკითხი სახელმწიფოს ძირითად რეფორმების შესახებ.

ეს უკანასკნელი ბრალდება მეტად გულ-უბრყვილო ბრალდებაა. ეჭვს გარეშეა, რომ პროგრესიული მწერლობა, მიუხედავად ათას-გვარ დაბრკოლებისა, საზოგადოებაში ავრცელებდა ჰუმანიტარულ აზრებს, რომლებსაც საფუძვლად საკაცობრიო უფლებები ედო. მაგრამ მას ყოველთვის ესმოდა, რომ ამ მაღალ იდეალების განხორციელება, საუბედუროდ, მას ვერ შეეძლო. ამ მხრით ის ისეთივე უღონოა, როგორც სარწმუნოება და ფილოსოფია, რომლებიც ამავე მაღალ იდეალებს ჰქადაგებენ. ისტორიამ დაგვიმტკიცა, რომ პროგრესი წინ ძალიან ნელის ნაბიჯით მიდის, ხანდისხან ერები ღრმა ძილში იმყოფებიან ხოლმე. მაგრამ ეს იმას არა ნიშნავს, რომ მათ წინ მსვლელობის ნიჭი დაჰკარგოდეთ.

ბატონ-ყმობის დროის მწერლობა, შეძლების დაგვარად, საკაცობრიო იდეალებს ჰქადაგებდა, მაგრამ ძველს რეჟიმს უკანასკნელად ძირი სევასტოპოლის კომპანიამ გამოუთხარა. ამ კომპანიამ იარები გამოამჟღავნა, და მთავრობამაც მოსპო ბატონ-ყმობა, როგორც ხალხის უბედურების ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი.

სწორეთ ამგვარადვე ისტორიის მსვლელობა პრესსისაგან არ არის დამოკიდებული. მსვლელობას ნიადაგი მთელმა წარსულმა ცხოვრებამ მოუმზადა, ყველა იმ უფლებრიემა, ეკონომიურმა და ფინანსიურმა ფაქტორებმა, რომლებიც, ერთის მხრით, ხალხს სულიერ ძალთა თავისუფალსა და პროგრესიულ განვითარებას ხელს უშლიდნენ, მეორეს მხრით კი—სრულს გაღატაკებამდე მიიყვანეს. ახლაც ძველ რეჟიმს სამარეს პრესსა კი არ უთხრის, არამედ შორეულ აღმოსავლეთის ომიანობა.

მაშ რას აკეთებდა პრესსა? ის, როგორც გლეხთა განთავისუფლების დროს, მხოლოდ გამოესარჩლა განმათავისუფლებელ რეფორმებს და. უჩვენა ის გზა, რომლის საშუალებითაც ხალხს შეეძლება საქმის კეთილად დაბოლოვება. ეს გზა არის ხალხის წარმომადგენლების მოწვევა.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

1 აგვისტო.

ჩიტა, 1 აგვისტო. ინგოდს მახლობლად იაპონიის სამხედრო მატარებელი რელსებს გადასცდა და დაიმსხვრა. 150 კაცია დაჭრილი და მოკლული. რელსებზე დინამიტის გიდზა იპოვნეს, რის გამოც ჰფიქრობენ; ეს უბედურება ბოროტმოქმედების ბრალიაო.

ნიუ იორკი, 1 აგვისტო. როდესაც რუზველტი ვილკესბარრეს გამგზავრებას აპირებდა, მუქარის წერილი მიიღო, მატარებელს ავაფეთქებთო. ამის გამო მარშრუტი საიდუმლოდ შესცვალეს და სასტიკი ზომები მიიღეს უბედურების ასაცილებლად.

კიევი, 1 აგვისტო. დილას, თავის სახლებში სამხედრო ექიმის ბუალსკის ქვრივი მოკლული ნახეს. ქვრივს ყელი აქვს გამოჭრილი. მკვლელობა გაძარცვის შედეგია. დამნაშავენი ვერ იპოვნეს.

ლონდონი, 1 აგვისტო. მეფე ედუარდი დღეს მარიენბადს წავიდა. კაიარის საფრანგეთის ესკადრა პორტსმუტიდან გამოვიდა. პრესსა დიდ მნიშვნელობას აძლევს ესკადრის სტუმრობას, როგორც პოლიტიკურს, ისე ისტორიულს.

სიმფეროპოლი, 31 ივლისი. ზოგიერთს გაზეთებში დაბეჭდილი ამბავი კორსუნის მონასტრის გაძარცვის შესახებ ტენდენციურია, სასულიერო აკადემიის სტუდენტი, რომელსაც ქურდობა შესწამეს ინოკენტი კი არა, იოსები ყოფილა.

ჰელსინგფორსი, 1 აგვისტო. ჰელსინგფორსში სახელმწიფო ბანკი აკურთხეს და პარაკლისი გადაიხადეს.

ხარკოვი, 1 აგვისტო, მატარებლის დამმზადებელ ქარხანაში. სამის დღის გაფიცვის შემდეგ, მუშაობა დაიწყო, მუშაობა სხვა პატარა ქარხნებშიაც დაიწყეს.

ბელოსტოკი, 1 აგვისტო. „ვარშავსკი დნევნიკში“ მოთავსებული ამბავი, ვითომც ეზოებიდანა და სახლებიდანა პატრულებს სროლა დაუწყეს და ვითომც რევოლვერით ზელდენის ქუჩაზე ერთი ჯარის-კაცი მოჰკლესო, [illegible] როტმისტრ- აგრეთვე ის ამბავიც, ვითომ [illegible]ს და [illegible]ტერსაც ესროლესო.

[illegible], 1 აგვისტოს. მეფე ედუარდი 2 აგვისტოს იშლს მივა, ხოლო 3 აგვისტოს მარიენბადს გაემგზავრება. გზად იგი გმუნდენში კუმბერლანდიის ჰერცოგის ოჯახობას ინახულებს.

ოდესა, 1 აგვისტო. ბრალმდებლის ამხანაგმა გალზერინისა, [illegible] და ლაპეს საქმის თაობაზე საკასაციო საჩივარი აღძრა.

ელისავეტგრადი, 1 აგვისტო. „გოლოს იუგა“ გორჩაკოვმა შეისყიდა. რედაქტორად იქვე სადოვინი რჩება.

კიევი, 1 აგვისტო. რადგან ქალაქის საბჭოს წევრები სისტემატიურად აკლდებიან სხდომებს, ქალაქის თვითმართველობამ რამდენიმე საქმე, რომელიც საბჭოს კომპეტენციას შეადგენდა, თვითონ გადასწყვიტა.

კოსტრომა, 1 აგვისტო. ყველა ქარხნებში მუშაობენ. უკანასკნელ კრებაზე საბჭოს სხდომამ, სამწუხაროდ მიიჩნია, რომ მექარხნეები გაფიცულ მუშებს გულგრილად ეკიდებიან.

ეკატერინბურგი, 1 აგვისტო. ურალის გადაღმა ხუთის მაზრის მასწავლებელთა და ინსპექტორთა კრებამ საჭიროდ სცნო: მასწავლებელთა ჯამაგირები 480 მან. ავიდეს, სამოსწავლო საბჭოში მასწავლებლებმაც მონაწილეობა მიიღონ, სკოლების სამზრუნველოები დაწესდეს, სადაც სამღვთო სჯული კოჭლობს იმ სკოლებში სამღვთო სჯულის სწავლება ერის კაცებს დაევალოს.

ლონდონი, 1 აგვისტო. საფრანგეთის ესკადრა პორტსმუტიდან დილით მძიმედ დაიძრა. ზღვის პირად აუარებელი ხალხი შეიკრიბა და აღტაცებით ესალმებოდნენ თითოეულს გემს. ადმირალმა კაიარმა რეიტერის წარმომადგენელს განუცხადა: გულის სავსებით მადლიერი დავრჩი, რომ საფრანგეთის ესკადრას ასე დახვდნენო.

ხრისტიანია, 1 აგვისტო. სახალხო კენჭისყრის შედეგი შემდეგისას ასეთი იყო: ჩამოშორების მომხრე იყო 321197, წინააღმდეგი—161.

სიმფეროპოლი, 1 აგვისტო. კერჩის საბჭოს ხმოსან—ებრაელებმა თანამდებობას თავი დაანებეს. საბჭომ მწუხარება განაცხადა.

მოსკოვი, 1 აგვისტო. ოფიციალურ ცნობებით, ვოლოკოლამსკში 29 ივლისს 40 სახლი გადაიწვა.—სადგურ მოსკოვზე პეტერბურგელი ვაჭარი ალექსანდროვი გაძარცვეს. სულ ათასი თუმანი წაუღიათ. ბრესტის რკინის გზის სადგურზე, მესამე კლასის მგზავრებმა საშინლად სცემეს ქურდს, რომელსაც ერთს მგზავრისათვის საათი მოეპარა.—დღეს ტვერის ბულვარზე ბრბომ საშინლად სცემა ქურდს, რომელსაც ერთს ახალგაზრდა ქალისთვის გულიდან საათი ჩამოეგლიჯა.—

ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში ქალაქის გამგეობამ ოთხი სახალხო უფასო ბიბლიოთეკა დაარსა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 ივლისი.

ნიუ კასტლი, 1 აგვისტო. ვიტტეს უთქვამს: შაბათს იაპონელებმა პასუხი კი არ მოგვცეს, არამედ თორმეტი მუხლისაგან შემდგარი მოთხოვნილებანი წარმოადგინესო; თვითოეულ ამ მუხლთაგანის განხილვას სამ კვირას მაინც მოვუნდებითო. აქამდის მხოლოდ პირველ მუხლს ვარჩევდითო. „ჩვენ, რუსები,—სთქვა ვიტტემ,—დროებით ზავის ჩამოგდებას არაოდესაც არა ვცდილობდითო“. კვირას სხდომა არ მოხდა, რადგანაც ვიტტემ შაბათს, საღამოს ცხრა საათ-

ზე, იაპონელებს წარუდგინა თავისი წინადადება, რომლის განხილვასაც ისინი შეუდგნენ. 30 ივლისის სხდომაზე დაასრულეს განხილვა პირველი მუხლისა, რომელიც უსათუოდ კორეის საკითხს უნდა შეეხებოდეს; ამ მუხლის შესახებ ვიტტესა და კომურას შუა სრული თანხმობაა; საჭიროა მხოლოდ, რომ დადგენილების დედანი შემუშავდეს. იმის დასამტკიცებლად, რომ რუსეთს მანჯურიის რკინის გზის დათმობა სურს, ამერიკელებს ის გარემოება მიჰყავთ, რომ რუსეთის საელჩო ვაშინგტონის არქივებში ცნობებს ჰკრეფავდა იმის შესახებ, თუ საფრანგეთმა, კონტრიბუციის გადახდის დროს, ელზასისა და ლოტარინგიის რკინის გზები როგორ დააფასაო.

ნიუ-იორკი, 1 აგვისტო. კვირისთვის დანიშნული სხდომა რელიგიურ მოსაზრებათა გამო კი არ გადაიდო, არამედ იმიტომ, რომ ვიტტემ მოითხოვა: კორეის შესახებ იაპონიის მოთხოვნილებანი უფრო დაწვრილებით და ნათლად იყვნენ შედგენილნიო. ვიტტემ კომურას თავისი პირობების პროექტი გაუგზავნა და ჰფიქრობს, რომ ეს პროექტი იაპონიის რწმუნებულს დააკმაყოფილებს. კომურამ ვიტტეს პროექტი ტელეგრაფით ტოკიოში შეატყობინა.

პორტსმუტი, 1 აგვისტო. რწმუნებულთ არც ერთს სხდომაზე ჯერ ზავის პირობები არ განუხილავთ. რწმუნებულნი საკითხებს ჯერ პრინციპიალურად იხილავენ.

პარიზი, 1 აგვისტო. იაპონიის რამდენიმე გემი ახოტსკის ზღვაში შესულა და მთავრობის გემისათვის ყუმბარა დაუშენია. მატროსებიდან ზოგი დაიხოცა, ზოგიც დაიჭრა.

პორტსმუტი, 1 აგვისტო. რუსებისა და იაპონელების რწმუნებულთა სხდომა დაიწყო დილის 10 საათსა და 50 წუთზე,

ტოკიო, 1 აგვისტო. „ნიჩინიჩი-შიმბუნ“-ი ამბობს იაპონელების მოთხოვნილებანი ზომიერიაო. თუ შეთანხმება არ მოხდა, პასუხის მგებელი რუსეთი იქნებაო. „ასაკი“-ს აზრით, რუსეთი სცდება, თუ ჰფიქრობს, რომ იაპონიის ხსნა ზავზეა დამოკიდებული. რუსეთი ამას ჰფიქრობს და იაპონელების პირობებს არ მიიღებს, ამიტომ კონფერენციის სასურველი შედეგის იმედი არა გვაქვსო.

იუწყებიან: [illegible]**მუტი**, 1 აგვისტო. ოფიციალურად [illegible]ხებების პირველი მუხლი განიხილეს და მეორე მუხლ[illegible] განხილვა დაიწყეს. პირველი მუხლი კორეის მდგომარეობას შეეხებოდა.

სიტიაზა, 1 აგვისტო. იაპონელებმა დაიჭირეს იანდალინის უღელტეხილი და შეჩერდნენ. 30 ივლისს, საღამოზე, მტერმა თხრილების ამოღება დაიწყო. ჩვენებს გუიუშის სამხრეთით გორაკები უჭირავთ. მოწინააღმდეგების გაუბედაობა იმითი აიხსნება, რომ ისინი ამ იერიშებით ახალ ჯარსა წვრთნიან.

პეტერბურგი. გენერალ ლინევიჩის დეპეშა 1905 წლის, 31 ივლისის თარიღით: „იაპონელები, რომლებმაც 29 ივლისს იანდილინის მთაგრეხილზე იერიში მიიტანეს, უკუგდებულ იქმნენ. მანდარინის გზის რაიონში გუშინ, 30 ივლისს, იაპონელები შეამჩნიეს. მტერი, აგრეთვე, რკინის გზის დასავლეთითაც დაინახეს. მანდარინის გზის რაიონში მყოფნი, იანდილინის მთაგრეხილს მიახლოვდნენ, მაგრამ დილის 11 საათზე უკუგდებულ იქმნენ, მეორეებს კი უფრო ადრე, დილის ათ საათზე, კაზაკებმა თავის პოზიციებზე დაახევინეს“.

გავრი, 1 აგვისტო. გავრში მყოფი რუსი-ნაღმოსანი და კონტ-ნაღმოსანი გუშინ აქედან გავიდნენ.

პორტსმუტი, 1 აგვისტო. შაბათის თათბირობაზე ვიტტემ კორეის შესახებ განაცხადა: იაპონია სცდილობს, რომ კორეა თავის პროვინციად გაიხადოს. რუსეთი ამის წინააღმდეგი არ არის, მაგრამ იაპონიამ თავისი განზრახვა აშკარად უნდა გამოსთქვასო. იაპონიის განზრახვა კორეის შესახებ ევროპისა და ამერიკის ინტერესებს ეწინააღმდეგება; ხოლო თუ ეს სახელმწიფოები ხმას არ აღიმაღლებენ, რუსეთიც იმათს მაგალითს წაჰბაძავსო. კომურამ ენერგეულად, თუმცა მეტად რბილის სიტყვებით, უარ ჰყო ვიტტეს განცხადება და განაცხადა, რომ იაპონია კორეაში ვაჭრობა—მრეწველობის ინტერესებს ეძებს და სურს, რომ კორეა ადმინისტრატიულ ანარქიიდან გაანთავისუფლოსო.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4-ზე გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ზავი. „რუსკოე სლოვოს“ კორესპონდენტი ნიუ-იორკიდან დეპეშით იუწყება: დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ კომურამ ცალკე ინახულა ვიტტე. ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ კომურა ვიტტესთან რწმუნების საბუთების ჩასაბარებლად იყოვო, მაგრამ საზოგადოება ამბობს, ეს მხოლოდ მიზეზი იყო, ნამდვილად კი კომურამ და ვიტტემ ცალკე საიდუმლოდ მოილაპარაკესო. ამერიკელების აზრით ვიტტე იმის წინააღმდეგია, რომ პირობები სრულიად უარჰყოს და უცებ შესწყვიტოს მოლაპარაკებაო. ამის შესახებ ვიტტეს ჟურნალისტებისთვის უთქვამს: როგორც ყველგან და ყველაფერში, ისე დიპლომატიაშიაც ყველას უფლება აქვს თავის პირობები წარადგინოს, ეს პირობები ასწონ-დასწონოს და ან მიიღოს, ან უარჰყოს, ან შეევაჭროს. გაჯავრება, წასვლა და მოლაპარაკების შეწყვეტა ადვილია; ეს დიპლომატის ხელოვნებას არ ამტკიცებს. საქმე ის არის, რომ მოწინააღმდეგე დაარწმუნო და ცოტა რამ დაათმობინო (რ. ვ.).

იაპონელებს არ სჯერათ მშვიდობიანობის ჩამოგდება. ინგლისურ გაზეთ „ტაიმ“-ის კორესპონდენტი ტოკიოდან იუწყება: იაპონელები თანდათან რწმუნდებიან, რომ რუსეთს გულწრფელად არ უნდა ზავის ჩამოგდება. რუსეთს დროს მოგება უნდა,—ამბობენ იაპონელები;—გააჭიანურებს მოლაპარაკებას ერთი-ორის თვით, მერე შესწყვეტავს და თავსაც იმით გაიმართლებს, ვი-[illegible] იაპონიამ მეტის მეტი მოითხოვაო. ამ ორ თვეში [illegible] ლასძე გააკეთებს: პოზიციებს გაამაგრებს, ჯარს გაგზავნის [illegible] ახალ საწყობებს გამართავს და იქნება ფულიც იშოვნოს. ურიცხვ დამარცხების მიუხედავად, რუსეთი თავის თავს დამარცხებულად არა სთვლის და ლინევიჩის გამარჯვებისა, საქმეში უცხო სახელმწიფოების ჩარევისა და იაპონიის დაქანცვის იმედი აქვს. ამის გამო იაპონური გაზეთები ერთხმად სწერენ: თუ საქმეში მესამე სახელმწიფო ჩაერია, ჩვენი ბრალი არ იყოს, თუ ომის ცეცხლი მთელ ქვეყანას მოვუკიდეთო (რ. ს.).

ზავი და ომის გაგრძელება. საერთოდ მოლაპარაკება თვეზე მეტს გასტანს. იაპონელებმა გადასწყვიტეს, რუსეთის ჯარს მოლაპარაკებით სარგებლობის ნება არ მივცეთ და გზა განვაგრძოთო: მარშალი ოიამა მოლაპარაკებას არ დასდევს და მედგარ იერიშებს მიიტანს ლინევიჩის ჯარზედაც და ვლადივოსტოკზედაც. თუ იაპონელებმა ზავის ჩამოგდებამდის ერთხელ კიდევ გაიმარჯვეს, პირობებს მოუმატებენ და რუსეთიც იძულებული იქნება დასთანხმდეს, თორემ რაც ხანი გავა, უარესი დაემართება და ბოლოს შეიძლება მთელი აღმოსავლეთ ციმბირი იაპონიის ხელში გადავიდესო (რ.).

ზავი და ევროპიელების კონცესიები. ნიუ-იორკიდან „რუსს“ დეპეშით ატყობინებენ: პოლიტიკოსები ამბობენ: რას იზავს ინგლისი, როცა რუსეთი ზავის პირობების ძალით პორტ-არტურს თავს დაანებებს და მოითხოვს, რომ ინგლისმაც პირობის ძალით ვეიხაივეის თავი მიანებოს. ინგლისმა იმ დრომდის დაიჭირა ვეიხაივეი, სანამ რუსეთს პორტ-არტური უჭირავს, თუ ინგლისს ვეიხაივეი დაატოვებინეს, იაპონია მოითხოვს, რომ საფრანგეთმაც თავი დაანებოს საიგონს. (რუს).

ამერიკელ ქალების დემონსტრაცია. პორტსმუტიდან „რუსს“ დეპეშით ატყობინებენ: პორტსმუტის მიდამოებიდან აუარებელი ახალგაზდა ქალი შეიკრიბა, სასტუმრო „ვენტფორტს“ მიადგნენ (ამ სასტუმროში ცხოვრობენ რუსეთისა და იაპონიის წარმომადგენელნი) და იაპონიის სადიდებელი სიმღერები დაიწყეს. კიდევ კარგი, რომ რუსეთის წარმომადგენელნი ჯერ მოსულნი არ იყვნენ პორტსმუტში, თორემ უსიამოვნება გამოვიდოდა. ქალების საქციელით შეშინებული მამები და დედები დაუყოვნებლივ სასტუმროსთან გაჩნდნენ და დიდი აყალ-მაყალის შემდეგ ძლივს ძლიობით აალებინეს ხელი დემონსტრაციაზე. (რ. ს.).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 2 აგვისტო. საქმე რევაზიშვილისა, ჯუღელისა, ბეკაიასი, მესხიშვილისა, ცივცივაძისა და შავლოკაძისა სასამართლომ დღეს ვერ გაარჩია და გადასდო, რადგან ზოგი ბრალდებული და მოწმები არ გამოცხადებულიან. დამცველად მოწვეული იყო მოსკოვიდან ნაფიცი ვექილი შურავიევი.

დღეს ახალ გუბერნატორსა და ვიცე გუბერნატორს წარუდგნენ საგუბერნიო სამმართველოსი და სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი და მოხელენი.

ახალი ამბავი

ორშაბათს, 1 აგვისტოს, პირველ საპოლიციო უბანში, დუშეთის ქუჩაზე, საღამოს 10½ საათზე, ორმა უცნობმა კაცმა **სამჯერ ესროლა** [illegible] **ამ უბნის ზედამხედველ**[illegible]**ილაიას.** ორი ტყვია მკერდში მოხვდა, ერთი კიდევ მარჯვენა ხელში. დაჭრილი გაბილაია გამოუდგა უცნობ პირებს, მაგრამ ვერ დაეწია. დასისხლიანებული მივიდა საპოლიციო ნაწილში, საიდანაც მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ ქ. თელავიდან გვწერენ: 29 ივლისს, საღამოს, როცა წინანდილის ნაწილის პოლიციის ბოქაული აპუშკინი ქვემო მხრიდამ თელავში ბრუნდებოდა, კურდღელაურის თავში, ვენახიდამ **ორჯერ თოფი მაგრამ ორივე ტყვია აუცდენიათ.** დამნაშავე ვერ იპოვნეს.

◆ როგორც ბაქოდან გვატყობინებენ, 1 აგვისტოს, საღამოს 9 საათზე, ვიღაცა უცნობმა კაცმა **რევოლვერი ესროლა ჟანდარმის უნტერ-აფიცერ ბაიჩუკს,** რომელიც რამდენისამე წუთს შემდეგ გარდაიცვალა.

◆ **უუმბარით დაჭრილი,** მექვსე საპოლიციო უბნის ზედამხედველი გლეპოვი გამოეწერა მიხეილის საავადმყოფოდან. ერთი ხელი მთლად დაშავებული აქვს.

◆ მუხრანიდან გვატყობინებენ: 30 ივლისს სოფლელებს ტყეში საძოვრად ნახირი შეურეკიათ. ეს ტყე სოფლისა და საუფლისწულო უწყებისა ყოფილა. საუფლისწულო მამულის განკარგულებით, საქონელი დაუჭერიათ და დაუმწყვდევიათ. ბევრი ხვეწნა-მუდარის შემდეგ გლეხებისათვის დამშეული და ნაცემი საქონელი დაუბრუნებიათ. **ნახირს ექვსი სული დააკლდა.** ერთი გლეხი, სარქის აფრიაშვილი სალდათს შუბით დაუჭრია.

◆ როგორც „ნოვ. ობ.“ გადმოგვცემს, ბაშკადეკლარის ბატალიონის პრაპორშჩიკი ვ. ა. სულაქველიძე (ქუთაისის გუბ. მცხოვრებია) **სამხედრო სამართალში მიუციათ** მთავრობის საწინააღმდეგო აზრების გავრცელებისათვის.

◆ პიატიგორსკის ციხის უფროსი შუამდგომლობს მთავრობასთან, პოლიტიკური ტუსაღები სხვა რომელსამე ციხეში გადიყვანეთ, რადგან **პიატიგორსკის ციხეში ტევა აღარ არისო** („კავკ. მინ. ვ.“).

◆ **სოფ. სკრაში ძმ. ფრიდონოვების კანტორაზე თავ-დასხმის შესახებ** შემდეგს დაწვრილებითს ცნობებს გადმოგვცემენ. 24 ივლისს, ღამის 11 საათზე, როდესაც ბაღის გამგემ და რამდენიმე ბაღში მომუშავე ყმაწვილმა აივანზე ჩაის სმა გაათავეს, სოფლიდან სიმღერა შემოესმათ. პატარა ხანს უკან, ალაყაფის კარებში შემოცვივდა 12 შეიარაღებული კაცი, ხალხს ალყა შემოარტყა და თოფის სროლა ასტეხა. გამგე კარში გამოვიდა. მაშინ ხალხმა დაიწყო ყვირილი. შეშინებულმა გამგემ კარები ჩაიკეტა. მაშინ ხალხმა კარები შეამტვრია, შევარდა ოთახში, მოაგროვა, რაც იქ თოფი და რევოლვერი იყო და სად. ხაშურისაკენ წავიდა. გზაზე ავსარქისოვის ბაღშიაც წაართვეს ერთი თოფი. ძმ. ფრიდონოვებმა ბაღი მაზრის უფროსს ჩააბარეს და ტფილისს წამოვიდნენ.

◆ დ. ქიათურიდან გვწერენ: იმ დროს, როდესაც სავაჭრო სახლის „შალკერ-გრუბენ გიუტენ ფერეინის“ მმართველმა პერსენაკმა ფოსტიდან 15,000 მან. გამოიტანა, **თავს დაეცა ოთხი კეტებითა და ხანჯლით შეიარაღებული კაცი,** დასჭრეს იგი თავში და ამ ფულებიდან 10,000 მან. გაიტაცეს. დამნაშავეთა შესაპყრობად თვით ხალხმა გამოიდო თავი. ერთის ვერსის სიშორეზე ტყეში იპოვნეს დამალული ავაზაკები. ფული ხელუხლებელი აღმოაჩნდათ. ერთი ბოროტ-მოქმედთაგანი სასიკვდილოდ დაჭრეს [illegible] დამნაშავენი ხალხმა [illegible] დასადებად წაიყვანა.

◆ როგორც დუშეთიდან გვატყობინებენ, მაზრის უფროსის თანაშემწე და ბოქაული გედევანიშვილი **კაზაკებით გრემის ხევსა და მჭადის ჯვარში წავიდნენ,** მემამულეთა დასახმარებლადო.

◆ ამას წინად, ბაქოს ნავთის მწარმოებელთა საბჭომ უმაღლეს მთავრობას საკუთარის მილიციის შედგენისა და შეიარაღების ნებართვა სთხოვა. **საბჭომ ერთისაც და მეორის უფლება მიიღო** და, როგორც პეტერბურგის გაზეთები სწერენ, აუარებელი იარაღი შეიძინა ბაქოში გამოსაგზავნად.

გუშინ, 2 ივლისს, **ტფილისში ჩამოვიდა ახლად დანიშნული ეგზარხოსი ნიკოლოოზი.** სადგურზე მიეგებნენ გუბერნატორი, გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალი, კომენდანტი, პოლიცმეისტერი, ეპისკოპოსი ევთიმე, ქართლ-კახეთის სინოდალურ კანტორის პროკურორი და ეგზარხოსის კანცელარიის უფროსნი, სადგურიდან ეგზარხოსი გენერალ სტახოვიჩთან ერთად, ღია ეტლით, გამოემართა სიონის ტაძრისკენ, სადაც მას ყველა ნაწილის უფროსნი, მე-VI-ე კლასის ხარისხისანნი, დახვდნენ. პირველად სიტყვით მიმართა ეპისკოპოსმა ევთიმემ (ელიევმა), რასაც ეგზარხოსის მოკლე საპასუხო სიტყვა მოჰყვა. მცირე პარაკლისის შემდეგ ეგზარხოსი, პროცესიით გაემართა კარის ეკლესიისაკენ...

◆ უწმ. სინოდის უწყებისამებრ, იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპარქიის **ეპისკოპოსებს უბრუნდებათ დამოუკიდებელ ეპისკოპოსების უფლებანი.**

◆ უმაღლესის ბრძანების თანახმად, სათადარიგო ჯარისკაცთა **სამსახურში გასამეორებლად მოწვევა** წელს, შემოდგომაზე აღარ მოხდება.

◆ ქალაქის გამგეობამ დაავალა თავ. ჩერქეზიშვილს **შეადგინოს სია ქალაქის იმ მოსამსახურეთა,** რომელთაც სამსახურის ასრულება უდრო-დროს უხდებათ და ამის გამო იარაღის ტარება სჭირდებათ.

◆ ის ცნობა, ვითომ ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი ი. ი. ფერაძე საეკლესიო სკოლების საოლქო მეთვალყურედ ინიშნებოდეს, **არა მართლდება.**

◆ სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების მთავარ-კანტროლერი ბ-ნი შპინდლერი დაინიშნა **ვოლოგდის სახელმწიფო ბანკის განყოფილების მმართველად.**

◆ ფუნიკულერის მართველობამ შუამდგომლობა აღძრა ნამესტნიკის წინაშე, რომ ფუნიკულერის საჭიროებისათვის **დაეთმოს საკმაო ადგილი მამა-დავითის მთაზე.** ამის გამო გუბერნატორს საჭირო ცნობები მოსთხოვეს.

◆ ორშაბათს, 1 აგვისტოს, განჯაში **რევოლვერით თავი მოიკლა** ნავთის-საყვან კანტორის ბუღჰალტერმა ფ. ი. ბოლგარსკიმ. მიზეზი სამსახურიდან დათხოვნაა.

◆ „ჩერნ. ვესტ“-ს სიტყვით, დ. ბახმაროში (ოზურგეთის მაზრა) 30 დე შეიარაღებული კაცი **თავს დასხმია მოაგარაკეთ და გაუძარცვავთ.** წაუღიათ ფული და ძვირფასი ნივთები. ბოროტ-გამზრახველნი ბერდანის თოფებითა, რევოლვერებითა და ხანჯლებით ყოფილან შეიარაღებულნი.

◆ ფოსტა-ტელეგრაფის მთავარმა გამგეობამ ნება დართო განჯის გუბერნიის შემდეგ სოფლებში მიიღონ და გზავნონ ხოლმე **საფოსტო კორესპონდენციები:** კაიაბაშინსკს, აჯალინსკსა, დავშ.ლინსა, დელმაწლინსა, ხანლიხსკსა, გეინიუკსკსა, ჯაზბალახსკსა, აზარ-ახმადლინკსკსა, სლოვიანკსკსა და მიხაილოვსკში.

◆ ეს მეორე წელიწადია, რაც უმაღლესად დამტკიცდა წესდება ტფილისის **ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა სამარხის კასისა,** მაგრამ ამ კასსას დღემდის მოქმედება არ დაუწყია, რადგანაც ბევრი მოსამსახურე წინააღმდეგია წესდების ზოგიერთ მუხლისა. ახლა განუზრახავთ ამ წესდების შესწორება.

◆ ამჟამად კავკასიის ნამესტნიკის საბჭოში, ამავე კანცელარიის დირექტორის ხ. ნ. მაქსიმოვის თავმჯდომარეობით, ირჩევა **ბულიგინის პროექტის** ასლი ხალხის წარმომადგენლების შესახებ.

◆ ინჟენერი ვურცელი შეეკითხა გზათა სამინისტროს, რა ბოლოს მოელის ჩემ-მიერ წარმოდგენილ პროექტს **ფშავ-ხევსურეთში რკინის გზის გაყვანის შესახებაო.**

◆ ივნისის განმავლობაში რედაქციამ მიიღო შემდეგი შემოწირულება: თელავიდან საბავშო საღამოზე შემოსული 175 მან. წყალდიდობისაგან დაზარალებულ გურულების და მეგრელების სასარგებლოდ და ერევნიდან 5 მან. 85 კ. როტმისტრ გვახარიასაგან

ფელეტონი

ჩვენ შორის...

(ამბავი)

ქალაქის ერთ-ერთ განაპირა სამხიარულო რესტორანში, საერთო დარბაზის მოშორებით, რამდენიმე ყმაწვილი პატარა მაგიდას მისხდომოდა და ხმამაღალ ლაპარაკსა და სიცილში საჭმელების სიას სინჯავდა.

რესტორანის ლაქია მკლავზე სალფეთქ გადავდებული, მოღუშული სახით თავს დასდგომოდა და მოთმინებით ელოდა...

ღამის 11 საათი იქნებოდა, რესტორანი უკვე ხალხით იყო სავსე. ირგვლივ აურზაური იდგა: ჰურჭლის ჩხარა-ჩხურისა, მოსამსახურეთა ძახილისა, სიცილ-ხარხარისა და შანსონეტკების მაღალი, წვრილი ხმისა, რომლებიც ერთი მაგიდიდან მეორეზე პეპლებივით გადადიოდნენ, ნაცნობებს ზარმაცად ხელს ართმევდნენ, ზეზეულად სჭამდნენ ან სვამდნენ და მეორე ნაცნობისკენ მიეშურებოდნენ.

მოვახშმე სტუმრები ათვალიერებდნენ ქალებს, სახეში აცქერდებოდნენ, ემუსაიფებოდნენ და არ იცოდნენ, რომელი აერჩიათ, ვინ დაეპატიჟნათ. ქალები გრძნობდნენ ამას, კეკლუცობდნენ, ნაძალადევად იცინოდნენ, დაბალის ხმით მღეროდნენ და კაცებს ეტორღიალებოდნენ.

დარბაზის მოშორებით მჯდომი ახალგაზდობა ამ აურზაურს ყურადღებას არ აქცევდა. ერთმანეთს შესციცინოდნენ, ხუმრობდნენ, ოხუნჯობდნენ. ეს იყო ტკბილი, ერთი ერთმანეთისათვის სასურველი ჯგუფი ყმაწვილებისა, რომელთა შორის ყველა თავს თავისუფლად გრძნობს, ზნეობრივად ისვენებს, გულით ხარობს და ლაპარაკს არავის არ აცლის, უნდა, სულ თვითონ ილაპარაკოს, იოხუნჯოს, რაც კი გულში აქვს, ყველაფერი წინ გაიშალოს.

შეკრებილებს, ეტყობოდათ, რომ ერთმანეთი დიდი ხანი არ ენახათ და, განგებ თუ შემთხვევით, მოეყარათ აქ თავი. სულ რვანი იყვნენ. მომეტებული მათგანი სტუდენტობა იყო: ზოგი გამხდარი, მკერდ-ჩავარდნილი, ფერ-მიხდილი, ზოგი ჯან-ღონით სავსე, მაგრამ ყველა ქაბუკის თვალებით, რომელშიაც ენერგია, მხნეობა და სიმამაცე ნათლად იხატებოდა. ზოგს ეცვა სტუდენტის „ტუჟურკა“, ზოგს შავი უბრალო ჩითის ხალათი.

ლაქიამ უყურა კარგა ხანს და, საჭმელების შეკვეთას რომ ვეღარ ეღირსა, უსიამოვნოდ გატრიალდა.

— წაიკითხე, კაცო, რა სწერია, მოვითხოვოთ რამე!—უთხრეს ამხანაგებმა ერთ უწვერ-ულვაშო ყმაწვილს, შავი ცოცხალის თვალებით და მაღალ ხუჭუჭა შავის თმით. ამ სტუდენტს ხელში საჭმელების სია ეჭირა და ათვალიერებდა.

— რა წავიკითხო, ძმაო—გაიცინა სტუდენტმა,—ფასები ისეთია, რომ მანთაშევიც კი შეფიქრიანდება, აი, უყურეთ—ჩაიკითხა იმან—მანათი, მანათი, ექვსი აბაზი, ორი მანათი, მანათ-ნახევარი, ოთხ-აბაზიანი ორია თუ სამი.

— მე სუკის მწვადი მინდა!—წამოიძახა ერთმა—აბა, ნახე, რა ღირს?

— სუკი? ორი მანათი...

— უჰ, არ მინდა, არ მინდა—გაატატანა იმან ხელები და გულიანად გადიხარხარა.

— მაშ რა გინდა? бефъ-строгановъ ხომ არ გინდა?

— რა ღირს?

— მანათ-ნახევარი!..

— უუჰ!..

— აგრე არ შეიძლება, ნიკო, შენ საჭმელებს კი ნუ უყურებ—სთქვა ერთმა—ფასები გადაათვალიერე და სადაც ნაკლები ფასი შეგხვდეს, იქ გაჩერდი და, გვითხარი, რა საჭმელია!

ამ წინადადებამ საერთო სიცილი გამოიწვია. სტუდენტიც სიცილით დასთანხმდა, სია მაგიდაზე დასდო და ფასებს თითი ჩააყოლა.

— აი, ოთხი აბაზია!—გააჩერა თითი ერთს ალაგს.

— აბა ნახე, ნახე, რა არის?

— битки съ лукомъ — ამოიკითხა სტუდენტმა.

ყველამ გადიხარხარა.

— ოჰო, თხუთმეტი შაურია, თხუთმეტი შაური—შესძახა სტუდენტმა და ხაზზე თითი გააყოლა—но...жки го...ловки! დაიცა, დაიცა, я... ичница... лобiи по грузински...—კითხულობდა ის საერთო სიცილსა და ოხუნჯობაში.

ბოლოს, როგორც იყო, საჭმელი ყველამ აირჩია, ლაქიას შეუკვეთა და ერთი საათის შემდეგ ახალგაზრდობა სიამოვნებით ვახშამს შეექცეოდა.

სცენაზე ამ დროს მოთამაშენი მალ-მალ იცვლებოდნენ და ხან მღეროდნენ, ხან მხიარულად ცეკვავდნენ. დრო-გამოშვებით ისმოდა მაყურებელთა ღრიანცელი და ჰურჭლის რახა-რუხი. ვნებათა ღელვა ცხოველდებოდა. რესტორანის ცხოვრება მეფდებოდა.

ყმაწვილებს ღვინო თავში აუვარდათ და ყოველ ჭქის დაცლასა, სადღეგრძელოსა და სიტყვას ცხარე, დაუსრულებელი კამათი მოსდევდა. ჩვეულებრივი დავა დაიწყო. საერთო მხიარულებამ, საერთო სიცილ-ხარხარმა და რესტორანის ხმაურობამ აზარმაცივით ასწია მათი არსება. ყმაწვილებ აღარაფერს ხედავდნენ, არას არჩევდნენ, მატერიალური ქვეყანა მათთვის აღარ არსებობდა. სიცოცხლის ძალა თითოეულს მათგანში მედგრად სცემდა და ამ ძალამ თითოეულის მათგანის სახეზე მათი გულის-თქმა, მათი სულთა-სწრაფვა აღბეჭდა.

ეს იყო სხვადასხვა მიმართულებისა და რწმენის ახალთაობა, დაუდეგარი, მჩქეფარი ახალგაზდობა, რომლის შორისაც თითოეული წევრი თავისებურად უყურებდა თანამედროვე ცხოვრების მსვლელობას, თითოეულს თავისი თვალთა-ხილვის ისარი, თავისი წმიდათა-წმიდა ჰქონდა და მზად იყო თავისი მკერდით, თავისი სისხლით დაეცვა. ეს რწმენა-შეხედულება.

კამათი გამწვავდა. მჭერ-მეტყველობის ჩანჩქარი მოჰქუხდა. აზრი-აზრს შეეჯახა, რწმენა რწმენას დაუპირდაპირდა. გულში დაგუბებულმა გრძნობამ გარედ გადმოჰხეთქა და ურთიერთის თვალთა-ხილვის ისარი ერთმანეთს დაეჯახა. წარსული და აწმყო, აწმყო და მომავალი ფიანდაზად გადაეშალათ და ყოველს მოვლენას, ისტორიის ყოველ მომენტს, მეცნიერთა ყოველს სიტყვას თავისებური მ ჯელობა მოსდევდა.

— თქვენა, ყმაწვილო, თქვენ რა მიმართულებისა ხართ, რა დასს ეკუთვნით?—კამათის შეწყვეტის დროს ჰკითხა უწვერ-ულვაშო სტუდენტმა მაგიდას განაპირად მჯდომ, ევროპიულ ტანისამოსში გამოწყობილ ყმაწვილ-კაცს.

ეს ყმაწვილი კაცი უხერხულად და მორცხვად იჯდა სუფრაზე და დიდრონი შავი თვალებით უაზროდ, ნერვებ აშლილივით აქეთ-იქით იყურებოდა. ის ამ ამხანაგობის წევრი არ უნდა ყოფილიყო. რა გვარად მოხვდა ის ამ სუფრაზე, ბევრმა იქ მყოფმა არც კი იცოდა და ყურადღებასაც არავინ აქცევდა. მთელი დრო ის იჯდა ჩუმად და, იმ დროს, როდესაც ამხანაგებს საჭმელი ნახევრად მიეტოვებინათ, ერთმანეთს აღგზნებული თვალებით შეჰყურებდნენ, მოპირდაპირეს ლაპარაკის გათავებას მოუთმენლად ელოდნენ და სიტყვას ბურთივით ერთმანეთს ხელიდან სტაცებდნენ, ის თავ-ჩაღუნული საჭმელს ნაძალადევად, უგემურად სჭამდა, სკამზე ტოკავდა და მალ-მალ ღვინოს ჭიქაში ისხამდა, თუმცა ბევრს არა სვამდა.

შეკითხვაზე ყმაწვილი შეკრთა, თავი მაღლა აიღო და სტუდენტს შეხედა,

სტუდენტი გაწითლა და თავი დაღუნა.

ყმაწვილი აილეწა, შემდეგ გაფითრდა, დანარჩენებმაც იგრძნეს რაღაც უხერხულობა და შემწყდარი კამათის განახლება დააჩქარეს.

ყმაწვილი წამოდგა ფეხზე. კარგა ხანს სცენაზე მოთამაშეებს უყურა, შემდეგ ისევ გამოტრიალდა, თავის ალაგს დაჯდა, ისევ წამოდგა, ისევ დაჯდა. ეტყობოდა რაღაც აწუხებდა.

სახე ისევ გადაფითრებული ჰქონდა, თვალები უელავდნენ. ბოლოს ადგილიდან ნელა წამოიწია და ჭიქა ხელში აიღო.

— ყმაწვილებო, მოკლე სიტყვის ნება მიბოძეთ!—წარმოსთქვა იმან აკანკალებულის ხმით და წელში გაიმართა.

ხმაურობა შესწყდა და ყველამ ყმაწვილისკენ მიიღო თავი.

ყმაწვილი იდგა კარგა ხანს, ეტყობოდა, გულის მღელვარებას ებრძოდა. მძიმედ ქშინავდა და ხელები უკანკალებდა.

— მაპატიეთ,—სთქვა იმან,—თუ მჭერმეტყველება ვერ გამოვიჩინო, მაპატიეთ აგრეთვე, თუ უნებლიეთ აქ მყოფს ვისმე შევეხო. მერწმუნეთ, რომ თუ რასმე ვიტყვი, ვიტყვი საზოგადოდ, პიროვნებას მე არ შევეხები და არცა მაქვს სურვილი შევეხო.

ყმაწვილი შეჩერდა, სული მოიბრუნა და განაგრძო:

„ყმაწვილებო! გაგეგონებათ და გეცოდინებათ ის ამბავი, რომ ერთხელ სოკრატს კარგა ხანს უყურა ერთმა მისმა მოწაფეთაგანმა და აღტაცებით შენიშნა: ოჰ, მასწავლებელო, რამდენი რამ იცი!? სოკრატი ჩაფიქრდა და მიუგო: მარტო ის ვიცი, რომ მე არაფერი ვიციო“.

„მოგეხსენებათ აგრეთვე, რომ სოკრატი იყო ფილოსოფოსი, თავის დროის გამოჩენილი სწავლული, თავის თანამედროვე ყველა ადამიანზე მაღლა იდგა და თამამად შეეძლო ეთქვა: მე ყველაფერი ვიცი, ჩემზე მცოდნე, ჭკვიანი არავინ არის, მაგრამ საჯაროდ აღიარა: „მარტო ის ვიცი, რომ მე არაფერი ვიციო“.

„რითი ავხსნათ ადამიანის ეს პსიხოლოგია, თუ არ მძლავრი ჭკუით და დიდებული სულით, რომელიც თავის დღეში არ დაკმაყოფილდება მით, რასაც მიაღწია და წინ მედგრად ჯიუტად მიდის. იგი ჰგავს იმ კაცს, რომელიც მთის ერთს მწვერვალს რომ მიაღწევს, თვალწინ მეორე ეხატება, პირველზე მაღალი, დიდებული და დაუსვენებლივ მისკენ მიეშურება...“

აქ ყმაწვილი კაცი შეჩერდა, სუნთქვა შესწყვიტა, ეტყობოდა, ფიქრებმა წარიტაცეს, შორს წაიყვანეს, არ უნდოდა ამ აზრს მაღლიდან მოშორებოდა, ძირს ჩამოფრენილიყო, მაგრამ თავი მაღლა აიქნია, ფიქრები გადიყარა და მწარედ განაგრძო:

„ჩვენ კი, ჩვენ რუსეთის სკოლებში სწავლა მიღებულნი, ორიოდ წიგნაკის წამკითხველთ, ცა ქუდად აღარ მიგვაჩნია.—ყმაწვილს სახე მოეღუშა და მეტის სიმწარით განაგრძო—დავჯდებით ორიოდ სტრიქონს, ჩვენი თავი შექსპირი გვგონია; სადმე ორ კაცში ორ სიტყვას ვიტყვით, დემოსფენს აღარაფრად ვაგდებთ. ერთი ერთმანეთს უვიცს ვეძახით, თუ გაგვაჯავრა,—სულელსაც; ერთი-ერთმანეთის ნაწერი, ნალაპარაკევი ჩვენ არ მოგვწონს, ვცდილობთ, დავამციროთ, გავაქარწყლოთ იგი! რას წარმოადგენს ივანე?—ჰკითხავ ვისმე—არაფერს!—მიიღებ პასუხად.—პეტრე?—სულელია!—როსტომი?—იიიჰ!—თეოფილე?—უუუჰ!—ესა? ეს?—სულელია, სულელია. შენ?!—ეკითხები ბოლოს განცვიფრებული.

შემოწირული წ. კ. გამავრცელებელ საზოგად. სასარგებლოდ.

✦ **ყარაიაზი.** 1 აგვისტოს მატარებელმა გასრისა მუშა აბდულ-ალი მამედ-ოღლი.

✦ **ბათუმი.** 1 აგვისტოს ღამის 10 საათზე ვიღაც შეიარაღებული უცნობი თავს დაესხნენ მე-70-ე ვერსზე რკინის გზის სადარაჯოს და გაქურდეს.

✦ ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსის თანაშემწე ინჟენერი ჟდანოვი საფოსტო დაწესებულებათა სარევიზიოდ აჯიკენტში გაემგზავრა.

უპროგრამო სასწავლო პროგრამა.

მკითხველს უკვე მოეხსენება, რომ კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ გადასწყვიტა ჩვენს პირველ დაწყებით სახალხო სკოლებში სწავლება სამშობლო ენაზე სწარმოებდეს. სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ამ განკარგულების განსახორციელებლად მოიწვია კერძო კომისია, რომელსაც დაავალა სასწავლო პროგრამის შედგენა დასახელებულ სკოლებისათვის.

ჩვენ თავის დროზე „ივერიის“ საშუალებით ვაცხადებდით, რომ სახალო სკოლების სამოსწავლო პროგრამის შედგენა დღევანდელს პირობებში მეტად ძნელი საქმეა, მზრუნველისაგან შედგენილი კომისია ღირსეულად ვერ განახორციელებს ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს, ვერ დააკმაყოფილებს იგი ხალხის სამართლიან სურვილს და მოთხოვნილებას, თუ კომისია არ გაფართოვდა და მასში, სახალხო სკოლების მასწავლებელთა გარდა, სხვებიც არ იქმნენ მიწვეულნიო.

ჩვენი აზრი გამართლდა: ხუთი დღის განმავლობაში კომისიამ კანცელარიულის წესით გადასწყვიტა პირველ დაწყებით სკოლების პროგრამის საკითხი, სწრაფად გამოაცხო პროგრამა და დაიშალა. ეს პროგრამა დასტამბულია „ივერიის“ №127-ში და მკითხველს წაკითხული ექმნება.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ კომისიას ამ პროგრამაში ახალი თითქმის არა შეუტანია-რა. უკვე იანოვსკიმ, კავკასიის სამოსწავლო ოლქის ყოფილმა მზრუნველმა, შეიმუშავა სახალხო სკოლებისათვის სახელმძღვანელო პროგრამა, რომელიც 13 იანვარს 1881 წელს მოწონებულ და დამტკიცებულ იქმნა მაშინდელ კავკასიის უმაღლეს მთავრობისაგან. ეს სასწავლო პროგრამა სავალდებულოდ ჰხდიდა სახალხო სკოლებში ყველა საგნების სამშობლო ენის საშუალებით სწავლებას.

ამ სასწავლო პროგრამის შინაარსის გაცნობით კომისიის წევრებმა, თითქო ამერიკა აღმოგვიჩინესო, დაჰკრეს ბუკი და ნაღარა და ხუთი დღის განმავლობაში აწყმეს უკვე არსებული პროგრამა და დიდის თათბირის შემდეგ „გამოაცხეს“ ის ღირს-შესანიშნავი პროგრამა, რომლითაც კომისიას ჰსურს გააბედნიეროს მთელი კავკასია. ვინც დაკვირვებით დაუპირდაპირებს 1881 წლის სასწავლო პროგრამას კომისიის-მიერ შედგენილ პროგრამას, იგი მცირეოდენ განსხვავებასაც ვერა ჰპოვებს მათ შორის...

კომისია გადაჭრით აღიარებს, რომ „სასწავლებელმა ხალხის მოზარდ თაობას უნდა მიაწოდოს ცხოვრებისათვის საჭირო ცნობები, აღზარდოს იგი და განამტკიცოს სარწმუნოებასა და ზნეობაში“... ამ აზრის სავსებით განსახორციელებლად კომისია საჭიროდ სცნობს, რომ სახალხო სასწავლებლებში ასწავლიდნენ **სამღთოსჯულს, დედა-ენას, რუსულ-ენას და არითმეტიკას.**

ხალხის აბუჩად აგდება, ხალხის დაცინვა გვსმენია, მაგრამ ესეთი, როგორიც კომისიას უნებებია, მეტის-მეტია. ვინ არ იცის დღევანდელ დროში, რომ ცხოვრება მეტად გართულდა და გამრავალ ფეროვანდა. გართულებულ ცხოვრების ვითარებამ გამოიწვია დროის შესაფერი სახალხო სკოლების საჭიროებაც. განა მარტოოდენ სამღვთო სჯულის, დედა-ენის, რუსული ენისა და არითმეტიკის ცოდნა შესძენს ხალხს „ცხოვრებისათვის საჭირო ცნობებს“! განა საქმის ესე გადაჭრა და გადაწყვეტა, თვით ხალხის აბუჩად აგდებას არ მოასწავებს.

გერმანიაში, სადაც სახალხო სკოლის დანიშნულება იგივეა, რაიცა ჩვენის სკოლებისათვის კომისიას შეუფერებლად თავს მოუხვევია, სახელდობრ, მიწოდება ხალხისთვის „ცხოვრებისათვის საჭირო ცნობებისა“, სასწავლო საგნები გაცილებით მეტი და მნიშვნელოვანია და დროც, რომლის განმავლობაში მოსწავლე ითვისებს ამ საგნებს, ერთი ორად მეტია. გერმანიის სახალხო სკოლის მოსწავლე რვა წლის განმავლობაში გულმოდგინედ) სწავლობს: 1) სამღვთო სჯულს, 2) გერმანულ ენას, 3) არითმეტიკას, 4) გეომეტრიას, 5) ხატვას, 6) რეალურ საგნებს, 7) გალობას, 8) გიმნასტიკას, 9) ხელსაქმეს (ქალები), 10) ფიზიკას, 11) ისტორიას, 12 გეოგრაფიას, 13) საბუნებისმეტყველო საგნებს და 14) ქიმიას. გერმანიის სახალხო სკოლა ამითაც არ კმაყოფილდება. სახალხო სკოლაში კურს დამთავრებულთათვის ორგვარი ტიპის სკოლა არსებობს: Fortbildungs—schulen და Mittelschulen. ეს სკოლები უფრო სპეციალურად ასწავლიან საგნებს, სწავლას უფრო დამთავრებულ ხასიათს აძლევენ და გიმნაზიებში შესასვლელადაც უკვლევენ მოწაფეებს გზას.

დიახ, სადაც მართლაც ცხოვრებისათვის ამზადებენ ხალხს, იქ საქმე სწორედ ესეა მოწყობილი. ჩვენში კი ყველაფერი ცირკულიარების მიხედვით იზომება, თითქო ეს „ცირკულიარები“ ხალხის გულისთქმის გამომხატველი იყოს.

კომისიის წევრებმა ამოიკითხეს 1898 წლის 26 მაისს სახელმწიფოს საბჭოს უმაღლესად დამტკიცებულ მოხსენებაში, რომ სკოლამ „ხალხს ცხოვრებისათვის საჭირო ცნობები უნდა მიაწოდოს, აღზარდოს იგი და განამტკიცოს სარწმუნოებასა და ზნეობაშიო“, და უხმოდ, უსიტყოდ მიიღეს ეს ფორმულა. განსვენებულ იანოვსკის-მიერ შემუშავებულ პროგრამაში ნაჩვენები იყო სასწავლო საგნებად: 1) სამღვთო სჯული, 2) ქართული ენა, 3) რუსული ენა და 4) არითმეტიკა, და კომისიამაც უცვლელად შეიტანა ეს საგნები სახალხო სკოლების სასწავლო პროგრამაში, თითქო ჩვენის ხალხის ცხოვრება ამ ოცდახუთი წლის განმავლობაში ერთსა და იმავე დონეზე შეჩერებულიყოს.

დიახ, კომისიის წევრნი „ცირკულიარების“ საბუთიანობის აღდგენას უფრო სცდილან, ვიდრე ხალხის ხელუხლებელ უფლებათა დაცვას და მომხრეობას. აი, სწორედ ამას ჰქვიან: „Fiat justitia, pereat mundus“.

საგნების განაწილებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სამღვთო-სჯულის სწავლება. კომისიას ხალხის „სარწმუნოებისა და ზნეობის“ ასამაღლებლად და განსამტკიცებლად მეტად ფართო ადგილი დაუთმია სასწავლო პროგრამაში სამღვთო სჯულის სწავლებისათვის. კარგი და პატიოსანი, თუ ამრიგად ხალხის ზნეობა განმტკიცდება, მაგრამ ჩვენ კი წინააღმდეგ ვფიქრობთ და ამისი დამამტკიცებელი საბუთი ისტორიაშიაც მრავალი მოიძებნება, რომელთა შორის აქვე ერთსაც დავასახელებთ.

გერმანიის მთავრობა, მეფე ფრიდრიხ ვილჰელმ მეოთხის დროს, მეტად ჩააფიქრა 1848 წლის შემდეგ გავრცელებულმა რევოლუციონურმა მოძრაობამ, რომელიც დღითი-დღე უფრო მეტს ნიადაგს ჰპოულობდა გერმანიაში.

მოძრაობის ტალღებმა სახალხო სკოლების კარებამდიც მიაღწია. შეშინებულმა მთავრობამ ცნობილ ისტორიკოს—რაუმერის მინისტრობის დროს გამოსცა სახალხო სკოლების შესახებ რეგულიატივი, რომლითაც მინისტრი სამღვთო სჯულის სწავლებას სახალხო სკოლებში მეტად ფართო ადგილს უთმობდა. მთავრობას საქმის ასე მოწყობით ჰსურდა სახალხო სკოლებში დაეხშო ყოველი ახალი აზრი და ამრიგად რევოლუციონურ მოძრაობისათვის ნიადაგი შეესუსტებინა სკოლაში. რაუმერის განკარგულებას სრულიად წინააღმდეგი შედეგი მოჰყვა.. ხალხის ზნეობის ხელოვნურად ამაღლება შეუძლებელი საქმეა. სამღვთო სჯულის სწავლება სინიდისის საქმეა და ეს გარემოება კი ტფილისის კომისიის წევრებს უნდა სცოდნოდათ.

ბურუსითა და სიბნელითაა მოცული აგრეთვე სამშობლო ენის სწავლება. სასწავლო პროგრამაში არაა ნათლად გარკვეული, რასა გულისხმობს კომისია სამშობლო ენად. კავკასიაში, სოფლად ხშირად სულ სხვადასხვა ტომის ხალხი ბინადრობს. რომელის ენაზე უნდა ასწავლოს, მაგალითად, მასწავლებელმა ისეთს სკოლაში, სადაც ქართველებთან ერთად რამდენიმე სომეხი, თათარი ან ოსი მოწაფე სწავლობს? ვერც ამ კითხვის შესახებ გვაძლევს სასწავლო პროგრამა გადაჭრილ პასუხს. მაგრამ ეს კიდევ არაფერი,—შეიძლება თვით პრაქტიკამ შეავსოს ის ნაკლი, რის გასწორება კომისიამ ვერ შეძლო. სამწუხარო ისაა, რომ სამშობლო ენისათვის კომისიას კვირაში მარტოოდენ **რვა** გაკვეთილი მიუჩნევია და ეს სწორედ მაშინ, როცა იგივე კომისია „ღრმად დარწმუნებულია“, რომ „დედა-ენა სხვა საგნების შესწავლასაც საფუძვლად უნდა დაედოსო“. გერმანიაში, სადაც მოწაფის გონებრივად წარმატებას მეტად ხელს უწყობს კულტურული ოჯახი, სახალხო სკოლაში სამშობლო ენას **თორმეტი** გაკვეთილი აქვს დათმობილი, ჩვენში კი მხოლოდ **რვა** გაკვეთილი უცვნიათ საკმაოდ...

პედაგოგიურს ნიადაგზე არაა დაფუძნებული კომისიის პროგრამაში რუსული ენის სწავლებაც. კომისიის აზრით, რუსული ენის სწავლება უნდა იწყებოდეს სახალხო სკოლებში პირველი წლის მეორე ნახევრიდან. ტყუილად დაუწყებთ ძებნას იმ პედაგოგიურ პრინციპს, რომლითაც ამ გადაწყვეტილების დროს ხელმძღვანელობდა კომისია. განა დასაჯერებელია, რომ მოწაფემ, რომელსაც ჯერ კიდევ თავის სამშობლო ენაზე გარკვევით კითხვაც კი ვერ მოუხერხებია, უცხო ენის შესწავლა შესძლოს? ასეთი პრინციპის მომხრეობა და გამოსარჩლება მხოლოდ კომისიის წევრებს შეუძლიათ. შლეზვიგ-ჰოლშტეინში დანიის მკვიდრნი ქართველებზე ნაკლებ არ გრძნობენ „ყოველ ფეხის გადადგმაზე სახელმწიფო ენის შესწავლის საჭიროებას“, მაგრამ არც მათ და არც გერმანელებს აზრად არ მოსდით სახალხო სკოლებში პირველი წლის მეორე ნახევრიდან გერმანული ენის სწავლების შემოღება. ყველგან შლეზვიგ-ჰოლშტეინში დანიის მკვიდრთათვის სახალხო სკოლებში გერმანული ენის სწავლება, როგორც სახელმწიფო ენისა, სავალდებულოა მხოლოდ **მესამე წლის დასაწყისს.** ეს მაგალითი მეტად საგულისხმიეროა, მხოლოდ—არა კომისიის წევრთათვის...

არა ნაკლებ პედაგოგიურ სიბრძნეს შეიცავს კომისიის ის დადგენილებაც, რომლითაც ამიერიდან სახალხო სკოლის თითოეულ განყოფილებაში კვირაში თანაბრად 24 გაკვეთილი წესდება. აქ არ არის დაცული პედაგოგიაში ჭეშმარიტებად აღიარებული პრინციპი თანდათანობისა. განა პირველისა და მეოთხე განყოფილების მოწაფე ფიზიკურად ერთგვარათაა განვითარებული, რომ პირველმაც და მეორემაც 24 საათი დაჰყონ სკოლაში და უმეტ-ნაკლებო ყურადღებით ისმინონ გაკვეთილები!.. გერმანიის სახალხო სკოლებში პირველ განყოფილებისათვის დაწესებულია 20 გაკვეთილი, ხოლო უკანასკნელისათვის კი—30 გაკვეთილი. შეიძლება, ფიზიკის კანონები ჩვენს კუთხეულ ქვეყანაში სულ სხვა იყოს, ვიდრე გერმანიაში.

ბოლოს არ შეგვიძლია მკითხველის ყურადღება არ მივაქციოთ იმ გარამოებას, რომ კომისიას სახალხო სკოლაში სწავლებისათვის ოთხი წელიწადი სრულიად საკმარისად მიუჩნევია და ამასთანავე პირველ-დაწყებითი სასწავლებლის პროგრამა საშუალო სკოლების პროგრამასთან სრულადაც არ შეუფარდებია. განა შესაძლებელია სკოლამ ოთხი წლის განმავლობაში მოახერხოს ხალხისათვის „ცხოვრებაში საჭირო ცნობების“ ახსნა და გარკვევა! ეს ყოვლად დაუჯერებელია.

ყველგან, სადაც სახალხო სკოლებს დამთავრებული ხასიათი აქვს, სწავლებაც შედარებით ხანგრძლივია, როგორც ეს ზემოდ მოვიხსენიეთ. ეს გარემოება კომისიის წევრებს უნდა სცოდნოდათ და არ დავიწყებოდათ, როცა იგინი დასახელებულ უპროგრამო სასწავლო პროგრამას ადგენდნენ სახალხო სკოლებისათვის.

კომისიის დასახელებული პროგრამა ამის გამო სრულიად უნიადაგოდ და დროის შეუფერებლად მიგვაჩნია და, რომ ჩვენ არა ვცდებით, ამის დამამტკიცებელ საბუთს თვით ცხოვრების სინამდვილე გვამცნევს ახლო მომავალში...

ა. მიქაბერიძე.

რუსეთი

ხმა დადიოდა, **საერო წარმომადგენელთა მოწვევა,** 30 ივლისს უნდა მოხდესო. ეხლა ზოგნი ამბობენ, 6 აგვისტოს მოხდებაო, ზოგნი—9-შიო, ზოგნიც—11-შიო (რ. ვ.).

✦ ამას წინად პეტერგოფში რუსეთის უმაღლესმა მთავრობამ, ხელმწიფის თავმჯდომარეობით, განიხილა **ორი პროექტი საერო წარმომადგენლობისა.** ერთი შინაგან საქმეთა მინისტრის ბულიგინისა (შედგენილია კრიჟანოვსკის მიერ), მეორე „პატრიოტულ“ პარტიის მიერ. ამ პროექტის განხილვას, სხვათა შორის, დაესწრნენ ცნობილი რეაქციონერები: გრაფი ბობრინსკი, სენატორი ნარიშკინი, სტიშინსკი და პროფესორები კლიუჩევსკი და პავლოვი. კრებას უნდა გადაეწყვიტა, რომელი პროექტი სჯობია, „პატრიოტებისა“ თუ ბულიგინისა. ბოლოს კრებამ მიიღო ბულიგინის პროექტი ზოგიერთ ცვლილებით (რ. ვ.).

— „სლოვო“-ში დაბეჭდილია **უმთავრესი საფუძველი სენატის რეორგანიზაციისა.** სენატი იქნება უმაღლესი, დამოუკიდებელი და ავტორიტეტული ორგანო, რომელიც თვალყურს ადევნებს კანონიერებას და იმავე დროს ადმინისტრაციის უმაღლესი დაწესებულებაც იქნება. სენატს არ ემორჩილებიან მხოლოდ სახელმწიფო საბჭო, მინისტრთა კომიტეტი, ოპეკუნის საბჭო, ხელმწიფე იმპერატორის კანცელარია და კარის სამინისტრო. სენატი ჰხსნის კანონს და საკანონმდებლო ინიციატივაც იმას ეკუთვნის. სენატი თვალყურს ადევნებს უმაღლეს ადმინისტრაციას, მათ შორის გუბერნატორებსა და მინისტრებსაც და უფლება აქვს ადმინისტრატიულ წესით დასაჯოს დამნაშავენი (რ. ვ.).

✦ პეტერბურგში ხმა დადის, შინაგან საქმეთა მინისტრი **ბულიგინი ამ დღეებში სამსახურს თავს ანებებსო.** ბულიგინის ადგილზე, როგორც ამბობენ, პოლიციის მინისტრს, გენ. ტრეპოვს ნიშნავენ (რ. ვ.).

✦ შინაგან საქმეთა სამინისტრო აპირობს გამოსცეს ისეთი კანონი, რომლის ძალით **წვრილფეხა პოლიციელებს პასუხისგებაში მისცემენ,** თუ იმათ შესაფერი ზომები არ მიიღეს და იმათი დაუდევრობის გამო რომელიმე დიდ ადმინისტრატორს დაუშავდა რამე (რ. ვ.).

✦ ვლადივოსტოკში არსებობს **აფიცერთა საეკონომიო საზოგადოება.** მიუხედავად იმისა, რომ ვლადივოსტოკში სურსათ-სანოვაგე და ყოველნაირი საქონელი ძალიან ძვირად ფასობს და ამ საზოგადოებას საქონლის გადატანა შედარებით იაფად უჯდებოდა, ამას წინად ამ საზოგადოებამ, რაღაც გამოურკვეველ მიზეზებისა გამო გაკოტრება გამოაცხადა (რ. ვ.).

✦ დღეს თუ ხვალ პეტერბურგის გრადონაჩალნიკი გამოსცემს სავალდებულო დადგენილებას შესახებ იმისა, რომ მთავრობის-მიერ ნებადართულ ჯოხების გარდა სხვანაირი **ჯოხების ტარება აკრძალულია.** ტეხნიკოსებისგან შემდგარმა განსაკუთრებულმა კომისიამ შეიმუშავა გარკვეულ და განსაზღვრულ სიგრძისა და სიმაგრის ჯოხები. ვინც სხვანაირ ჯოხს ატარებს, ადმინისტრატიულ წესით ჯარიმა გადახდება, ან დაპატიმრებულ იქნება (რ. ვ.).

✦ ოდესის უნივერსიტეტის რექტორად ნამყოფი, საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების თავმჯდომარე და ცნობილი საერო მოღვაწე **პროფესორი იაროშენკო ოლონეცის გუბერნიაში იქმნა გადასახლებული.** იაროშენკო ამას წინად ოდესის ქალაქის მოურავად აირჩიეს, მაგრამ იაროშენკომ ეს თანამდებობა არ მიიღო.

✦ 28 ივლისს პეტერბურგის მაზრის სამხედრო სასამართლომ გაარჩია საქმე უცნობ კაცისა, რომელსაც ბოქაულის თანაშემწის სტრახოვიჩის მოკვლა ბრალდებოდა. ბრალდებულმა ოდესის მცხოვრები გერშკევიჩი დაირქვა, მაგრამ ეს არ დამტკიცდა. სამხედრო სასამართლომ გერშკევიჩს **ჩამოხრჩობა** გადაუწყვიტა (რ. ვ.).

✦ 24 ივლისს დვინსკში ჯარსა და ხალხს დიდი შეტაკება მოსვლიათ. ქუჩაში კაზაკებს 15 კაცი **მოუკლავთ და დაუჭრიათ.** მოკლულთა შორის ათი წლის ბავშვია, დაჭრილთა შორის 65 წლის მოხუცი. მეორე დღეს დახოცილი ებრაელები დამარხეს. კუბოს რამდენიმე ათასი კაცი მისდევდა. ხალხს წინ და უკან ჯარი და კაზაკები მისდევდნენ. მეორე დღეს ქრისტიანები უნდა დაესაფლავებინათ, მაგრამ პოლიციას ღამე დაემარხა. საავადმყოფოსთან აუარებელი ხალხი შეიკრიბა, მაგრამ გულნატკენი ისევ დაიშალა (რ. ვ.).

✦ 29 ივლისს პეტერბურგის სამხედრო საოლქო სასამართლომ გაარჩია საქმე სალდათების იაკიმოვისა და ვორობიოვისა. ორივეს მთავრობის საწინააღმდეგო **პროკლამაციების გავრცელება და პროპაგანდა** ბრალდებათ. ბრალდებულებს იცავდნენ ცნობილი ვექილი ანდრეევსკი და კაპიტანი საზანოვი. განაჩენი გაზეთებში ჯერ გამოცხადებული არ არის (ს. ო.).

✦ გაზეთები იუწყებოდნენ, ვითომ მოსკოვის სამხედრო სასამართლომ გრ. შუვალოვის მკვლელის კულიკოვსკის საქმის განაჩენი ხალხის დასწრებით გამოაცხადაო. «სლოვო» იუწყება, ეს ტყუილი ცნობააო. განაჩენის წაკითხვას არც ხალხი დასწრებია და არც პრესის წარმომადგენელნი. კულიკოვსკის **ჩამოხრჩობა** გადაუწყვიტეს (ს. ო.).

✦ ნოვგ. გუბერნიაში სოფელ მედვედში დაბინავებულნი არიან იაპონელი ტყვეები. 29 ივლისს ტყვეები აბანოში წაიყვანეს. როცა იაპონელები აბანოდან გამოვიდნენ, დარაჯმა კრივოშეინმა წყობით სიარული უბრძანა, ორი იაპონელი სალდათი—კაცუმაცო და აკიცა ბრძანებას არ დაემორჩილნენ და წინ წავიდნენ. კრივოშეინი გამოუდგა და თოფის კონდახი მოუღერა, დასარტყმელად. კაცუმაცომ თავის დასაცველად სველ და დაგრეხილ პირსახოცის ქნევა დაიწყო და უკან-უკან იწევდა. აკიცა—კრივოშეინის სიტყვით, ეცა მას, თოფს ხელი წაავლო და უნდა წაერთმია. აკიცამ განაცხადა, ეგ სალდათი იმიტომ მემტერება, რომ ფულს არ ვაძლევ იმ შრომაში, რომელსაც ეგ თავის მოვალეობის ასრულების დროს ეწევაო. ეს საქმე **სამხედრო-საოლქო სასამართლომ განიხილა** და კაცუმაცოს 2 წლით დაპატიმრება გადაუწყვიტა, აკიცას კი—8 თვით (ს. ო.).

✦ როგორც ვიცით, სამიწად-მოქმედო და სახელმწ. ქონებათა სამინისტრო გააუქმეს და იმის მაგივრად მიწად მოქმედებისა და მიწადმფლობელობის მთავარი სამმართველო დაარსეს. ხმა დადის, ამ დღეებში ამ დაწესებულებას **გააუქმებენ** და ისევ წინანდელ სამინისტროს აღადგენენო (ს. ო.)

✦ კრემენჩუგში პოლიციამ ყოველნაირ ჯოხების ტარება აკრძალა. **პოლიცია ხალხს ჯოხებს ართმევს** და ამტვრევს. რამდენიმე კაცმა საკუთრების უფლებათა დარღვევისათვის პოლიციელებს სასამართლოში უჩივლა (ს. ო.).

✦ 27 ივლისს ოდესის მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია საქმე 43 კაცისა, რომელნიც პოლიციამ **დააპატიმრა** და 40 დღე საპყრობილეში ჰყავდა. მოსამართლემ ყველანი გაამართლა (რ. ს.).

✦ ვარშავის უნივერსიტეტში შესვლის სურვილი მხოლოდ **60 კაცმა განაცხადა.** თითქმის ყველანი რუსები არიან. არც ერთმა პოლონელმა არ მოისურვა სწავლის გაგრძელება (რ. ს.).

✦ პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტმა ბოუფალმა ვარშავაში სამკლასიან კერძო სასწავლებლის გახსნის ნებართვა ითხოვა, მაგრამ **უარი მიიღო.** მიზეზი ის იყო, რომ პრივატ-დოცენტს საშინაო მასწავლებლის ხარისხი არ აღმოუჩნდა (რ. ს.).

უცხოეთი

ბრძოლა ამერიკისა და ჩინეთისა. ამ დროს, როდესაც შორეულ აღმოსავლეთში სისხლის ღვარი სდგას, როდესაც რუსეთი და იაპონია ერთმანეთს ენარცხებიან და ჩინეთის მიწა-წყალზე დავა და ცილობა აქვთ, ჩინეთიც იბრძვის, იბრძვის, უხმაუროდ, უშფოთველად. ჩინეთის ბრძოლა ამ ხასად არც რუსეთისა და არც იაპონიის წინააღმდეგ არ არის. მას ჯერ ვერ მოუკრებია იმოდენა ძალღონე, გაბედული ენერგია და სამხედრო ცოდნა, რომ თავის მომხვდურებს გაუმკლავდეს, და ძალაუნებურად ჩუმად არის და მოხერხებულ დროს უთვალთვალებს. სამაგიეროდ ამერიკას კი გაუმკლავდა და ომი გამოუცხადა. ამერიკამ, კარგა ხანია, ჩინელების გადასახლება ამერიკაში აკრძალა: ჩვენს შავ-ხელს მაზანდას უკარგავენ, შეტოქეობას უწევენ, რადგან მეტად მცირე ხელფასით მუშაობენო. ამას პასუხად ჩინეთმა ამერიკულ საქონელზე „ბოიკოტი“ გამოაცხადა, და დღესაც აუარებელი ამერიკული საქონელი აწყვია ჩინეთის ნავთსადგურებში და არავინ მიდის მათ საყიდლად. ამერიკა სამართლიანად შეაფიქრიანა ამ „ბოიკოტმა“ და, უეჭველია, იგი იძულებული შეიქმნება, დაუთმოს ჩინეთს, თუ არ უნდა, რომ ჩინეთის ბაზარი ხელიდან გაუშვას. ასე დღეს საქმე. პეკინისა და ვაშინგტონს შორის დიპლომატიური მიწერ-მოწერა არის. როგორც ახალი პროექტიდანა სჩანს, ამერიკა თავისუფლად გზას აძლევს ჩინეთის ემიგრაციას ამერიკის მიწა-წყალზე, ხოლო სამთო-მადნო მუშებს, მეთევზეებს და მრეცხავებს უზღუდავენ ამ მხრივ ზოგიერთ უფლებას. იმ ემიგრანტებს, რომლებიც ამერიკაში დასახლებას არ აპირობენ, ნება აქვთ ამერიკაში შეუხვიონ, სახელ-დახელო სამუშაოს საშოვნელად; ხოლო ის ჩინელები კი, რომლებიც უკვე ამერიკაში გადასახლებულან, გამოდევნილი აღარ იქმნებიანო. ამერიკელებს იმედი აქვთ, რომ ეს ახალი კანონი ჩინელებს დააკმაყოფილებს და გამწვავებულ ეკონომიურ ბრძოლას ბოლოს მოუღებსო.

ამერიკა. ანარქისტთა მსოფლიო კონგრესი ბოსტონში. ამ დღეებში ბოსტონში მთელის დედამიწის ზურგიდან ანარქისტთა წარმომადგენლები იყრიან თავს და მსოფლიო კონგრესის გამართვას აპირობენ. ბინად ბოსტონი აირჩიეს ანარქისტებმა. ამან შეაფიქრიანა ამერიკის მთავრობა და პოლიცია. პოლიცია გაფაციცებით თვალყურს ადევნებს იმ უბანს, სადაც იკრიბებიან ანარქისტთა წარმომადგენლები. რამდენიმე უკვე დაატუსაღეს. ამერიკის აგენტებს იტალიის გამოცდილი აგენტებიც ეხმარებიან ამ საქმეში. მაგრამ ანარქისტები მოურიდებლად ქადაგობენ ქუჩებსა და დარბაზებში, პროკლამაციებს არიგებენ და სხვ. ანარქისტები ემუქრებიან პოლიციას, თუ მოსვენებას არ მოგვცემთ, ჩვენს უნარს გაჩვენებთო..

შვეიცარია. სოციალ-დემოკრატთა კონგრესი ლოზანაში. ამ ცოტა ხანში ლოზანაში სოციალ-დემოკრატებმა კონგრესი გამართეს, რომელსაც 268 დელეგატი დაესწრო. ჟენევის დელეგატებმა კონგრესს თავისი აზრი წარუდგინეს: დახმარება გავუწიოთ ხოლმე იმ სალდათებს, რომლებიც სამხედრო სამსახურს გაურბიან, რადგან არა სურთ გაფიცულ თანამოძმეთა დამამშვიდებლად გაგზავნილ იქმნენო. ამის გარდა მოითხოვეს, რომ შეამცირონ სამხედრო ხარჯთ-აღრიცხვა და მთავრობას მოსთხოვონ, გაფიცულთა წინააღმდეგ ჯარი აღარ გამოიყვანოს ხოლმე. კონგრესმა დაადგინა, ამ და ზოგიერთ სხვა საკითხების გამოსარკვევად საგანგებო კრება მოახდინოს.

მე? მე რა... მე... გმ...—გიპასუხებს ის და გულში შენც სულელს დაგიძახებს.

მსმენელნი თუმცა ხმას არ იღებდნენ, არ უნდოდათ, რომ მოლაპარაკესთვის სიტყვა გაეწყვეტინებინათ, მაგრამ ამ უკანასკნელ სიტყვებზე ყველამ სკამებზე ტოკვა დაიწყო და ერთმანეთს შეხედეს. ყმაწვილი კაცი ისევ განაგრძობდა:

ამავე მოსაზრებით, სულელურს აზრს, ულოღიკო ფრაზებს ვიცავთ თავ-განწირვით, ვიცავთ ყოველ-გვარ სიტყვებით, რომელიც კი ჩვენს ლექსიკონში მოიპოვება, ვიცავთ მუშტით, იარაღით ხელში და ვამაყობთ, ამას ვუძახით ჩვენ „მედგარ რწმენას“, მაშინ როდესაც, მდაბიო ენით რომ ვსთქვათ, ეს არის... ჯიუტობა,—შედეგი ჩვენის ღატაკი ჭკუა-გონებისა.“—ყმაწვილმა სული მოიბრუნა, ხელსახოცით ოფლი მოიწმინდა და ღვინო შესვა, შემდეგ შეხედა ამხანაგებს და თავი ისევ მაღლა აიღო.

„სოფლის გლეხს რომ კითხვა მისცე: რა არის მთვარე? გაიღიმებს და პასუხს არ გაკადრებს. კითხვა რომ განუმეორო, ღიმილს მაინც არ შესწყვეტს, რადგან არ იცის, ეხუმრები, თუ მართალის გულითა ჰკითხავ. მაგრამ თუ არ მოეშვი, იმავე ღიმილით, როდის-როდის, გიპასუხებს: მთვარე? მთვარე—მთვარეა. ჩვენ ამ გლეხსა ვგევართ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენს სითამამეს საზღვარი არა აქვს, რადგან ვერ ვხედავთ ერთს ადამიანსაც კი, რომლის ან დაცინვისა, ან გაკიცხვის შეგვეშინდეს, ანუ კიდევ შეგვრცხვეს. ჩვენი გულზვიადობა იქამდის მიდის, რომ ისტორიის კანონსაც კი ვივიწყებთ: ასს წელიწადში ერთი გენიოსი იბადება და ამდენი გენიოსების ერთად დაბადება, რამდენიც ჩვენა ვართ, ბუნებას არ შეუძლიან“.

„ყველა სამშობლოს მხსნელია. ამასაც არ სჯერდება, მთელი კაცობრიობის მფარველი ანგელოზია. მიაქენებს უგზო-უკვლოთ აღვირ-წაყრილ ცხენს, წინ არაფერს ჰხედავს, უკან ვერ მოუხედნია და, სად გადიჩეხება, კაცმა არ იცის. აბა ვინ უფრო შორს გადახტება!—აი დღეს ყველას ფიქრი!“

რაც მეტს ლაპარაკობდა, მით უფრო მის სიტყვას რიხი ეძლეოდა, ხმა ეწმინდებოდა და თვალებ გაბრწყინებული, მამაცურად სჭექდა. მის ლაპარაკს რამოდენიმე გარეშემაც მიაქცია ყურადღება, პირი მისკენ მოიბრუნა და ყური დაუგდო.

„კაცობრიობას ათასი წლები გაუვლია. მისი ისტორია თვალწინ გვაქვს. ადამიანი კაცობრიობის კეთილდღეობისათვის მუდამ დაუღალავად, თავ-განწირულად მუშაობდა, ერთი-მეორის, მეორე მესამის საქმეს განაგრძობდა და ცხოვრებას წინ სწევდა, აუმჯობესებდა. კაცობრიობისთვის იღწვოდა ქრისტე, იღწვოდნენ ბუდდები, კონფუციები, მაჰმუდები, ლიუტერები, იღწვოდნენ დიდებულნი ხელმწიფენი, მეცნიერნი, მწერალნი, იღწვოდნენ მარქსები, ლასსალები. ვისაც როგორც შეეძლო, ყველას თავის წვლილი შეჰქონდა ცხოვრებაში, ყველა ცხოვრების ქაპანს ეწეოდა, ყველა მათგანი დიდებული იყო, მაგრამ ცხოვრებას მიაგორებდნენ ნელის ნაბიჯით, სვენებით, რადგან მძიმეა იგი, რთულია და ხელში ბურთივით მისი ტრიალი შეუძლებელია.

„ჩვენ კი... ამ დიდებულ ადამიანების ლანდნი, აჩრდილნი, ერთის ხელის მოქნევით, ერთის ამაღელვებელ ფრაზით გვინდა, ისევე გავაკეთოთ, რაც მათ მთელის საუკუნოების განმავლობაში უკეთებიათ... ჩვენ წარმოგვიდგენია, რომ ჩვენივე ნაშრომის ნაყოფით ჩვენვე დავტკბებით.

„ცხოვრება იცვალა—ვამბობთ ჩვენ—ადამიანის ჭკუა შორს წავიდა, რაც წინად შეუძლებელი იყო, ის დღეს ადვილი შესაძლებელია. —შემცდარი აზრია! ამასვე ამბობს მემანქანე, რომელიც ორთქლ-მავალზე ზის და მატარებელს სადგურისკენ მიაქანებს, მოსწევს თავისკენ რკინის ხელს, ორთქლმავალი დაიძვრის, მოსწევს უფრო კიდევ—გააჩქარებს, თავის ალაგზე მიიტანს—გააჩერებს. ორთქლმავალი მის ხელში სათამაშოა, სახუმარო გასართობი! სტეფენსონი რომ საფლავიდან წამოაყენო და ორთქლმავალზე შესვა, მატარებელს სადმე გადაჩეხავს. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ამ მემანქანემ სტეფენსონს ჭკუით გაუსწრო“.

ყმაწვილმა კაცმა შესვენა, იქ მსხდომთ შეხედა და ჭიქა ხელში აიღო.

„ეს ღმერთმა აცოცხლოს, ვინც მომზადებული მიეგებება ცხოვრებას და ბრმასავით აქეთ-იქით არ აწყდება, ვინც თავის თავსა სცნობს, კარგად გაიცნობს და შეიყვარებს იმ საქმეს, რომელსაც უნდა ემსახუროს, და თავის ძალ-ღონის მიხედვით ცხოვრებაში თავის წვლილს შეიტანს....

....ის კი, ვინც ჰყეფის, ვინც თავის „მე“-ს ემსახურება და თავის თავს ვერ იცნობს, ის იგავ-არაკის იმ ბაყაყს მაგონებს, რომელიც ხარს უნდა გასტოლებოდა, მაგრამ მეტის ფხორვით შუაზე გაიპო.

ამ სიტყვებით ყმაწვილმა აკანკალებულის ხელით ჭიქა ტუჩებთან მიიტანა და უცბად დალია..

სვ ყიფიანი.

კორესპონდენცია

რიონ გაღმის კუთხე (ქუთაისის მაზრა), 26 ივლისი. კვირას, 17 ივლისს, სოფ. ზეინდარში, საბაზრო მოედანზე, შეიკრიბა ორის საზოგადოების, ბაღდადის და გორას, გლეხობა რიცხვით 6,000-მდე. წარმოითქვა სიტყვები, შემდეგ დროშა ამართული ჩამოიარეს ბაღდად-ორპირის გზაზე და გაემართნენ პირდაპირ თავად ბარონ ერისთავის სახლისაკენ. ამოდენა ხალხი სიმღერით და ყვირილით ჩავიდა ეზოში, მიადგა სახლის დერეფანს და მოითხოვა, თავადი გარედ გამოსულიყო. 55 წლის მოხუცს ბევრი აღარ უცდია, მაშინვე გამოვიდა და ჰკითხა ხალხს: „აბა, რა გნებავთ, ძმებო, ჩემგანაო?“ უპასუხეს: „ჩვენ გვსურს გახდე ჩვენი ამხანაგი, დროშით გაგვიძღვე წინ და გაგვატარო თქვენს ეზოსაო“.

თავადი დასთანხმდა, გაუძღვა დროშით ხალხს დანიშნულ ადგილამდე. იქ ხალხმა ჩამოართვა დროშა მოხუცს და ერთხმად უდიდესი მადლობა შესწირა. მერმე ხალხი გაემართა იქვე თავად იორამ ერისთავის სახლისაკენ. იორამი 60 წლისაა, სამხედრო სამსახურში ნამყოფი, გადამდგარი პენსიონერი მოხელე. მას არ იამა ხალხის დანახვა, მკაცრად მიეგება და ჰკითხა, „რა გნებავთო?“ ხალხმა უპასუხა: „აბა, შემოგვიერთდი და დროშით გაგვიძეხიო“. იორამმა უპასუხა: „მე თანახმა ვარ თქვენი, ხელს არ გიშლით, ხოლო დროშის ხელის ხლება კი არ შემიძლიან“. ხალხი მიეძალა. იორამი გაცხარდა, იძრო რევოლვერი და დაუშინა ხალხს. სამი კაცი დაიჭრა. ხალხი აღელდა; ესროლეს მასაც რევოლვერი, მაგრამ ტყვიამ ოდნავ გაკაწრა, მერე დაურთეს კეტები და ცოცხალ-მკვდარი დააგდეს. მოურავსაც და ბიჭებსაც ასეთი დღე დაადგათ. ამის შემდეგ ხალხი გაიფანტა.

ჩვენი კუთხე შესდგება რვა საზოგადოებისაგან: ბაღდადის, გორას, უხუთის, ვანის, ტობანიერის, დვალიშვილების, მუხაურის და აბაშისა. პირველად მოძრაობამ იფეთქა აბაშის საზოგადოებაში, იქიდგან მიჰყვა და იჩინა თავი სხვა საზოგადოებებშიაც. ხალხი გაყოფილი ორ დასად; პირველი ორი საზოგადოება, გარდა სს. ინაშაურის, ამაღლებისა და ბზვანისა, ერთად მოქმედობენ, დანარჩენი სოფლები კი შეადგენენ მეორე დასს. ადმინისტრაცია-სასამართლოსთან ხალხმა შესწყვიტა კავშირი. ის თვითონ განაგებს თავის საქმეებს მედიატორების ამორჩევით. აღარავინ აწუხებს ქვეყნის ჭამია მამასახლისებს და „ძოსე“ მწერლებს, რის გამო ისინი კანცელარიაში დაღონებული სხედან.

ამას წინად მუხაურის საზოგადოების მამასახლისი თევზაძე სამის ტყვიით მძიმედ დასჭრეს. დაჭრილი ქუთაისის საავადმყოფოში გაგზავნეს.

აქეთ, ორი დღეა, წვიმს, სიმინდის ყანები გაცოცხლდა, ხალხი მხიარულია კარგი მოსავლის იმედით. ძველი სიმინდი ფუთი სამ აბაზად იყიდება, ღვინოც იაფია.

ხალხი თხოულობს სოფლის სკოლებში სწავლის დაწყებას. ის მასწავლებლები, რომელთაც ჯამაგირი ხაზინიდგან ეძლეოდათ, დღესაც ხაზინიდგან იღებენ და რომელთაც საზოგადოება იხდიდა, ისინი კი პირველ მაისს შემდეგ უჯამაგიროდ არიან.

ვლადო ბზვანელი.

P. S. ამ წერილის გათავების შემდეგ მივიღე ნამდვილი ცნობა, რომ დაჭრილი და გალახული თავადი იორამ ერისთავი თავის ოჯახობით წასულა ქუთაისში მთავრობასთან საჩივლელად.. მთავრობას კაზაკები გამოუგზავნია ს. ზეინდარში. იორამი სოფელში ცხოვრებას აღარ აპირებსო.

ვ. ბ—ლი.

ახალციხე, 27 ივლისი. არა მგონია, საქართველოში მოიპოვებოდეს ისეთი ყოველის მხრით უკან ჩამორჩენილი ქალაქი, როგორიც ჩვენი ახალციხეა; არავითარი პროგრესი მას არ ეტყობა. რკინის გზის უქონლობა აფერხებს მიმოსვლას და აზრთა გაზიარებას.

სომხების ბურჟუაზიული მიმართულება, ქართველების ვიწრო ნაციონალისტობა და რუსების ჩინოვნიკური აზროვნება აბნელებს ნათელ გზას ბრწყინვალე მომავლისაკენ. მაგრამ რუსეთის დღევანდელმა მოძრაობამ მაინც საკმაო გავლენა იქონია ჩვენს მხარეზე და, დღეს თუ არა, ხვალ მაინც დადგება ის ბედნიერი წუთი, როდესაც ახალციხელებიც, სხვებთან, ერთად წინ აღუდგებიან დღევანდელ უსამართლობას და ადამიანობის შემბღალველ პირობებს. დემოკრატიული იდეა უკვე შემოვიდა და უეჭველად თანდათან ფესვს გაიდგამს, განვითარდება, გაიზრდება...

კვირას, 24 ივლისს, ადგილობრივ სკოლაში, გ. გვარამაძის მეთაურობით, წარმოდგენილ იქმნა დ. ერისთავის ორ-მოქმედებიანი კომედია „ძუნწი“. წარმოდგენამ ისე ულაზათოდ ჩაიარა, რომ კაცი ვერც-კი წარმოიდგენს. საზოგადოება უკმაყოფილოდ დაიშალა. საკვირველია, ღმერთმანი, ბ-ნ გ. გვარამაძის საქციელი. ამას წინადაც დადგა თავისი საკუთარი „თხზულება“—„სცენები ჯავახთა ცხოვრებიდან“, რომელიც ძველ „მოგზაურში“ იბეჭდებოდა და რომელსაც საერთო არაფერი აქვს ნამდვილ ჯავახთა ცხოვრებასთან. ვურჩევთ ბ-ნ გვარამაძეს, თავი დაანებოს ასეთ სასაცილო მოქმედებას და აცილოს საზოგადოების-მიერ „ყუსტის“ ძახილი. ამასთანავე, საჭიროა, რომ წარმოდგენისათვის თანამედროვე პიესები აარჩიონ ხოლმე, თორემ ძველი პიესები ვერ აკმაყოფილებენ დღევანდელ საზოგადოების მოთხოვნილებას.

ორიოდე სიტყვა აქაურ ფოსტის მოხელეთა საქციელზედაც: 25 ივლისს გახლდით ამ ბიუროკრატიულ დაწესებულებაში და შემდეგ ამბავს წავაწყდი: კორესპონდენციების მისაღებად მოვიდნენ ორი მოწაფე ქალი და ერთიც ვაჟი, რომლებიც ცოტა წინ წადგნენ და მოითხოვეს გაზეთები. უცებ გამოხტა ერთი ფოსტალიონი და ხელის კვრით შეუყვირა: დამეკარგეთ აქედან, ცოტა შორს დადექითო. მოსწავლე ყმაწვილებმა ზრდილობიანად შენიშნეს, ცოტა თავაზიანად მოგვეპყარითო. ამ სიტყვებმა გაბრაზა ფოსტალიონი და უფრო მეტი ლანძღვა-გინება დაიწყო. ამ ყვირილზე გამოვარდა მეორეც და მოჰყვა ლანძღვას. ამ აურზაურსა და ალიაქოთში საიდგანღაც გამოხტა ჩინოვნიკი-ტელეგრაფისტი და მოსწავლე ვაჟი გარედ გააგდო. მოსწავლე ქალებმა პროტესტი გამოუცხადეს, უდიერად რად მოეპყარით იმ ყმაწვილს, რას ერჩოდითო. ამაზე, აი, როგორი პასუხი გასცა ერთმა ტელეგრაფისტთაგანმა: თქვენც კი გასალახები ხართ, მაგრამ ბარიშნები ხართ და, აბა, რა გიყოთო!..

ვანო ზარალოვი.

სოფ. რუისპირი (თელავის მაზრა). 26 ივლისი. როგორც სხვა სოფლებში, ისე სოფ. რუისპირშიაც, 22 ივლისს, მოახდინა ხალხის ყრილობა გენერალ-ადიუტანტმა თ. ზ. ჭავჭავაძემ. თ. ზ. ჭავჭავაძეს თან ახლდა გენერალ-ლეიტენანტი სტახოვიჩი.

სოფლის ყრილობაზე დაბარებულნი იყვნენ სოფ. რუისპირის საზოგადოების გლეხობა (ერთი სამამასახლისო) სოფ. იყალთოდან, ვარდისუბნიდან და ახატელიდან. რადგან ყრილობა საქმე-დღით იყო, ყრილობას ბევრი გლეხობა არ დასწრებია.

გლეხებმა წინადვე იცოდნენ, რასაც გამოუცხადებდნენ.

თ. ზ. ჭავჭავაძემ ხალხს უთხრა: „თქვენ სოფლად მოწანწალე ვიღაც-ვიღაცებს ყურს ნუ უგდებთ, ისინი თქვენი მტრები არიან. დამშვიდდით, დაწყნარდით, თავადიშვილის მამულებს ნუ ეხებით, ნუ ედავებით. შეგიძლიანთ სახელმწიფო ადგილები ითხოვოთ. ავკაცობას ნუ მისდევთო, თავადიშვილებს რაც წაუხდინეთ, ის უეჭველად გაზღვევინებათ, ამისთვის ცალკე კომისია მოვაო“. ამის შემდეგ თ. ზ. ჭავჭავაძე შეეკითხა გლეხებს: ვის რა გაქვთ სათქმელიო? ამ სიტყვებზე სოფ. ახატლის მცხოვრებმა ერთმა გლეხმა შემდეგი მოახსენა: „თავადო, ჭავჭავაძევ, ვისაც ჩვენზე გული შესტკივა, ის ჩვენს გაჭირებასაც მოისმენს, ვისაც არა და ის ყურადღებასაც არ მოგვაქცევს. ჩვენ, გლეხებმა, ბევრი რამ ვითხოვეთ, დიდი ხანიც არის მას აქეთ, მაგრამ მთავრობამ ჩვენ არა შეგვისრულა რა. ამჟამად ბევრს ვერაფერს მოგახსენებთ. ვიტყვი მხოლოდ ერთ მაგალითს, საიდანაც ნათლად სჩანს, ჩვენი სოფლის (ახატელი) თავადიშვილებმა ჩვენის უვიცობითა და უღონობით როგორ ისარგებლეს. ამ 7—8 წლის წინად, ჩვენს სოფელს სახელმწიფო ადგილები ეჭირა, იმითი სარგებლობდა. შემდეგ, რადაცა მოხერხებით, ჩვენმა თავადიშვილებმა ეს ადგილები მიიჩემეს, თავისად გაიხადეს, შიგ აღარ შეგვიშვეს. ეს 7—8 წელიწადია, ხსენებულ მიწებს ჩვენ აღარა ვხმარობთ, მაგრამ ამის ხარჯს, აცენზს კი, ჩვენ ვიხდით. ასევე გვიყვეს ჭალაანის მინდვრებზედაც, მიწები ჩვენ არ გვებგუთნის და ხარჯს კი ჩვენ ვიხდით“. თ. ჭავჭავაძემ უპასუხა: თხოვნები დაწერეთ და სახელმწიფო ადგილები ითხოვეთო.

ეს რჩევა კარგია, მაგრამ სად არის იმდენი სახელმწიფო ადგილები? მთელი აქაური მამული თავადიშვილების ხელშია.

თავადი ჭავჭავაძე აქედან ყრილობის მოსახდენად სოფ. ქისტაურში წავიდა.

კ. ალაზნისპირელი.

სამეგრელო. 27 ივლისი. რაც დრო გადის, ჩვენის ხალხის ნივთიერი მდგომარეობა თან-და-თან უკან მიდის. ბევრჯერ თქმულა და ახლაც ვიტყვით, რომ მეგრელთა, წოდების განურჩევლად, ცხოვრების ერთად-ერთი წყარო მხოლოდ სიმინდის ხვნა-თესვაა. აქაური ნიადაგი, როგორც გამოცდილებამ დაგვარწმუნა, სიმინდს უფრო ითვისებს, ვიდრე სხვა ხორბლეულობას. მაგრამ ახლა ისე დაქვეითდა და დაეცა ცხოვრება, რომ ხალხი სასოწარკვეთილებას მიეცა და აღარ იცის, თავი როგორ ირჩინოს. ნიადაგსაც ძალა გამოელია, ჰაერიც გადასხვაფერდა და მოსავალიც წლიდა-წლობით კლებულობს, რის გამოც, ეს ორი თუ სამი წელიწადია, სამეგრელოში სიმშილობაა ჩამოვარდნილი.

გამოცდილებამ უკვე დაგვარწმუნა, რომ სამეგრელოს ვაკე ადგილებში მშვენივრად ხარობს ამერიკულ ვაზზე დამყნილი ვენახები. ზოგიერთა შეძლებულებმა სცდელად მიწა გადააბრუნეს, დარგეს ვაზი, დამყნეს და დარწმუნდნენ, რომ აქ ვენახი იხეირებს და ღვინოც კარგის ღირსებისა მოვა.

ამ ბოლო დროს გვარიანს მოსავალს იძლევა აბრეშუმი, მაგრამ აბრეშუმიდან აღებულ ფულებს ჩვენი ქალები უთავბოლოდ ხარჯვენ.

დღეს სამეგრელოს ქალებს, განურჩევლად წოდებისა, ყველას ძვირფასი ტანისამოსი აცვია და თავზე „შლიაპები“ ახურავთ. ასე წარმოიდგინეთ, „ხანუმები“-ც კი აპირობენ გადაგვარებას. აბრეშუმის კაბები, სხვადასხვა ფასონის „შლიაპები“, ნაირ-ნაირი ფეხ-საცმლები და სხვა, აი სამეგრელოს ქალების იდეალი! ვაი, იმას, ვისაც სახლში ორა-სამი ქალი ჰყავს! საწყალ მათ მშობლებს დანა ყელთან აქვთ მიტანილი მათის დრტვინვა-ჩივილისაგან. აქაურ ქალების „მოდნი“-ს მიმდევრობამ უამისოდაც გადატაკებული ხალხი ლამის მიწასთან გაასწოროს... დროა, ჩვენი ქალები გონს მოვიდნენ და თანამედროვე მოძრაობას დაუკვირდნენ. ტანისამოსის ტრფიალი კი არა, ცხოვრების ათასნაირ გაჭირვებისაგან განთავისუფლება უნდა იყოს მათი იდეალი.

ტელეფონი.

სოფ. მეტეხი (გორის მაზრა), 25 ივლისი. ამ დროის საყოველთაო წმინდა ერთობამ ფრიად სასიამოვნო შედეგი იქონია, სხვათა შორის, დღეობების ამოკვეთაზედაც.

მეტეხელები წელიწადში ხდილობდნენ სამ საეკლესიო დღეობას: კვირაცხოვლობას, მარიამობას (ღვთის მშობლის მიძინების დღეს, 15 აგვისტოს) და ამაღლებას. გარდა ორი ეკლესიისა, აქ იმყოფება აგრეთვე თელეთის ეკლესიის ნიშიც, რომელიც ქართველმა თავადიშვილებმა მე-XVIII საუკუნეში სომხებს გადასცეს. ეს სამივე დღეობა ამჟამად სრულიად მოისპო, მოისპო აგრეთვე დღეობები მთლად გორის მაზრის სხვა ალაგებშიაც. ამნაირად, ამ ღრმად ფესვებ-გადგმულ და კერპთაყვანის მცემლობის დროიდან დარჩენილ ნაშთს დღეს ხალხმა სრულის სიგონივრით შეხედა და იგი ძირიანად ამოფხვნა. დღემდისინ მშრომელი თუ არა მშრომელი, ვალით თუ ვახშით, მხოლოდ იმის მუდმივ ზრუნვაში იყო, რომ რაიმე მოეპოვებინა და დღეობა გადაეხადა.

დღეს კი დღეობების გადასახდელად ნაშოვნი და შენახული ფული მოანდომა თავის სახლის სხვადასხვა საჭიროებას,

შედარებით სხვა ამ მხრის დანარჩენს სოფლებთან, მეტეხში მცხოვრები ხალხი ძალიან უმამულო ხალხად ითვლება. აქ მცხოვრებთა რიცხვი ითვლება სამას მეკომურამდე და მამულის სივიწროვისა გამო, ორთა-შუა რიცხვით, ზოგ მათგან ექმნება არა უმეტეს ნახევარ დღის სახნავ-სათესი მიწისა. არიან სრულიად უმამულო და უსაქონლო მეკომურებიც. მეტეხელი გლეხი ხნავს და სთესს კერძო პირების მამულებში, სალალოდ. მეტეხელებს არა აქვთ, აგრეთვე, ტყე და საქონლის საძოვარი ადგილი და ერთობ დიდ გაჭირვებაში იმყოფებიან. სახლისათვის საჭირო შეშა-ფიჩხის გამოტანაში ტყის მეპატრონეს წელიწადში აძლევენ 80 თუმანს და საქონლის საძოვარ ადგილში, რომლითაც სარგებლობენ მხოლოდ სამი თვის განმავლობაში, აძლევენ ორმოცდა-ათ თუმანს. ვამბობ სამ თვეს იმიტომ, რომ ეს საძოვარი ადგილი იმყოფება მეტეხიდან მტკვრის გაღმით, ეგრედ წოდებულ, აშურიანში, სადაც საქონლის გარეკ-გამორეკა, წყალდიდობისა გამო, დიდად გასაჭირი ხდება და ამ დროს, ყოველ-წლივ, დიდი ზარალიც ეძლევათ ხოლმე მცხოვრებლებს საქონლის წყალში დაღრჩობით.

ასეთ, ენით გამოუთქმელ, გაჭირვებულ ცხოვრებაში იმყოფება ამ ჟამად მეტეხში მცხოვრები ხალხი და შემდეგში კი რა იქნება, ეს ღმერთმა უწყის.

დათიკო.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ამას წინად სკრის მამულის შესახებ ბევრი მითქმა-მოთქმა იყო როგორც გაზეთ „ცნობის ფურცელში“, ისე თავად-აზნაურთა საზოგადო ყრილობაზე, სადაც მეც ბევრი მათრახი გადმომიჭირეს. მინდოდა მაშინვე ორიოდე სიტყვით პასუხი გამეცა ერთისთვისაც და მეორისთვისაც, მაგრამ, რადგან კომისია დანიშნეს მამულის დასათვალიერებლად, მე ვამჯობინე გაჩუმებულიყავ კომისიის მხრივ მამულის დათვალიერებამდის. ამას მოითხოვდა როგორც სიმართლე, ისე პატიოსნებაც. დღეს ვხედავ, რომ კომისია აგვიანებს მამულის დათვალიერებას და ჩემი შელახული თავმოყვარეობა კი გამოურკვეველ მდგომარეობაშია საზოგადოების თვალში. ამიტომ ნება მიბოძეთ, ბ. რედაქტორო, თქვენ პატივცემულ გაზეთ „ივერიის“ შემწეობით, ორიოდე სიტყვა ვსთქვა როგორც ჩემდამო მონდობილ „სკრის“ მამულის მდგომარეობის გამოსარკვევად, ისე ჩემი შელახულ პიროვნების დასაცავად.

მე გავმხდარი მოურავად სკრის მამულში, თანახმად კომიტეტის დადგენილებისა, 17 იანვარს 1900 წ. ჩავიბარე რა სამსახური, მამული ისე ძირს დაცემული და დედამიწასთან გასწორებული დამხვდა, რომ მე მზად ვიყავი მაშინვე მიმეტოვებინა იგი. სრულიად სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი, რადგან მეტად რთული და გაფუჭებული საქმე დამხვდა. სამი დღე და ღამე დიდს ტანჯვაში ვიყავი. ამ ხნის განმავლობაში ჩემს თვალს ძილი არ მოსვლია... შემდეგ მაინც გადავწყვიტე დავრჩენილიყავ და კიდეც შევუდექი საქმეს. იმ დღიდან მოყოლებული დღემდე და უფრო 1903 წ. 25 მარტამდე მამულის საქმე სულ წინ მიდიოდა ყოველის მხრით. წინათ მამულის შემოსავალი არ აღემატებოდა წელიწადში 1200—1500 მან., შემდეგ-კი მისი შემოსავალი ავიდა 3,000 მანათამდის ყოველ წლიურად. გავაფართოვე ვენახები, ავაშენე მამულისათვის საჭირო შენობანი და ყოველ საშუალებას ვხმარობდი მამულის შემოსავლის გასადიდებლად, რადგანაც მამა-პაპეული შემოსავალი: საბალახე, ტყის სალბაში, ღალები და სხ. ბევრს არას იძლევა და სათაკილოთაც მიმაჩნია თავად-აზნაურთა საზოგადოებისთვის ამნაირათ შემოსავლით მამულის შენახვა და მისი გაუმჯობესობა. ერთ გონივრულ საშუალებათაგან ვსცან გამართვა ამერიკულ ვაზის სანერგისა, რადგანაც საქარისა და ალაიანის სანერგენი სრულებით ვერ აკმაყოფილებენ დიდს მოთხოვნილებას. ამ მიზნის მისაღწევად გადავაბრუნე სამი დღის მიწა ძველ ბაღთან შემატებული და სადგურთანაც სამი დღისავე ეკლიანი მავთულით შევღობე და შევუდექი ამერიკულ ვაზის მოშენებას. 1903 წლამდის ყველაფერი რიგზე მიდიოდა და ამ წლიდან მე ვპირდებოდი გამგე კომიტეტს კარგ შემოსავალს მამულიდან რაციონალურს ნიადაგზე დაყენებით.

მაგრამ ეს წელი ჩემთვის და ჩემი ოჯახისათვის შავი წელი გამოდგა: 25 მარტს, როცა ამერიკულ ვაზის მოსატანად მივდიოდი, ნ. გასიტაშვილი, გაბრაზებული მით, რომ მას ნებას არ ვაძლევდი თავისუფლად ეჩეხნა ტყე და თავისუფლადვე ეხნა-ეთესნა, როცა კი მოისურვებდა, წამომეპარა და რკინის ბარით თავის ქალა ჩამიმტვრია. ამ ჭრილობის მიზეზით მე დამჩემდა დრო-გამოშვებითი გულის წუხილი. ექიმებმა მირჩიეს ძვლის ამოჭრა, წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებელი სწრაფი სიკვდილი მელოდა. შარშან შემოდგომაზე კომიტეტმა დახმარება აღმომიჩინა. დამაბინავა გედევანიშვილის სამკურნალოში და ყველა ხარჯი ჩემი ოპერაციისა და წამლობისა თვითონ იკისრა. გამიკეთეს რა ოპერაცია, ჩადრეკილი თავის ქალის ძვალი სრულიად ამოჭრეს და მით განმათავისუფლეს დიდის ტანჯვისა და სიკვდილისაგან. თუმცა სრულიად არა ვარ ისე გასაღებული, როგორიც საღი მივედი სკრის მამულში, მაგრამ ვატყობ, რომ უკეთ ვხდები. ჩემი ავათმყოფობის დროს ჩემს სამსახურს სხვა ასრულებდა და ამის მიზეზით იკლო როგორც მამულის შემოსავალმა ისე საქმის წარმოება—წინსვლამ.

აქ არ შემიძლიან არ ვუსაყვედურო ექიმს ალექსანდრე დიასამიძეს, რომელიც ჩემს ოპერაციას დაესწრო. როცა თავის ქალის ძვალი ამომაცალეს, მან, ალექ. დიასამიძემ, ხელში აიღო ეს ძვალი და იქ მყოფ საზოგადოებას (იქ ერია ჩემი ძმა ნიკოლოზი) მიმართა: „ამ კაცმა ჩვენ, თავად-აზნაურთ, თავი შემოგვწირა, ეს ძვალი რომ სასამართლოში წარადგინოს, 20,000 მანათს გადაგვახდევინებსო; ჩვენ თვითონ მოვალენი ვართ უჩივლელად დავასაჩუქროთო“. მერე მამიბრუნდა მე, როცა ლოგინზე მიმასვენეს, და მკითხა, თუ რა ჯამაგირს ვიღებ სკრის მამულში. მე ვუპასუხე, თვეში ხუთი თუმანი მაქვს მეთქი. ამაზე მან სთქვა: განა ეკადრება ჩვენს საზოგადოებას, ამისთანა მცირე ჯამაგირით იყოლიოს მოურავი ისეთ დიდ მამულში როგორიც არის სკრაო? ამ სიტყვებმა მაშინ მე მთლად მომხიბლა, ტკივილიც კი მომეშვა და მზად ვიყავი უკანასკნელი სისხლი დამენთხია ამისთანა სიმპატიურ საზოგადოების გულისთვის. მაგრამ საზოგადო ყრილობაში, როცა ლაპარაკი ჩამოვარდა სკრის მამულზე და მისმა ძმამ დაცინვის კილოთი იკითხა: წამლობა, მოურავის წამლობაო, ექიმმა ალექსანდრემ ერთი კრინტი არ დასძრა, რათა სიმართლე აღედგინა, და მით ნება მისცა საზოგადოებას ეხარხარნა ჩემზე.

დასასრულ, გულით და სულით ველი კომისიას, რაც შეიძლება მალე, რათა აღადგინოს სრული ჭეშმარიტება.

მოურავი სკრის მამულისა
ი. ცხვედაძე.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

2 აგვისტო.

პორტსმუტი, 2 აგვისტო. სატო ოფიციალურად იუწყება, რომ მეორე და მესამე მუხლებში შეთანხმებით მანჯურია უნდა დასცალონ, ამ პროვინციაში ყოველისავე უფლებაზე ხელი უნდა აიღონ, ხარბინიდან დაწყებული—რკინის გზა უნდა დაგვითმონ. შემდეგი სხდომა ხვალე, დილის 9 საათზე მოხდება. მეორე მუხლი ურთ ერთს დამოკიდებულებას და მოვალეობას ეხება: მანჯურიაში უპირატესობაზე ხელის აღება, ჩინეთის ხელშეკრულობა, ღია კარის პრინციპი. მესამე მუხლი ეხება ხარბინის ქვემოდ რკინის გზას.

ნიუ-იორკი, 2 აგვისტო. „ტაიმსი“-ს სიტყვით, იაპონია უარს განაცხადებს რუსეთის საზღვაო ძალთა შემცირებაზე და იარაღ-აყრილ გემების გამოდავებაზე.

პორტსმუტი, 2 აგვისტო. რწმუნებულებმა მიიღეს პირველი მუხლი, რომელშიაც რუსეთის რწმუნებულთ მცირე რამ ცვლილება შეიტანეს. იაპონელები ამბობენ, რომ ვიტტე მეტის მეტად გვქანცავს და იძულებულს გვყოფს, მოლაპარაკებაზე უარი ვსთქვათო. რუსები გადაჭრით უარსა ჰყოფენ ამ ხმებს.

როდესაც ვიტტემ ინახულა ფინანსისტები იაკობ შიფი, ოსკარ შტრაუსი და ისააკ ზელიგმანი, კორეის საკითხზე ჰქონდათ თათბირი, სესხის შესახებ კრინტიც არ დაუძრავთო.

ვენა, 2 აგვისტო. უნგრეთის დეპუტატმა ხედერვარმა გედელში იჯარა აიღო, რომელიც წინად იმპერატორსა ჰქონდა აღებული. ხედერვარმა იმპერატორზე მეტი გარდაიხადა.

ოტტავა, 1 აგვისტოს. კანადის მთავრობამ კომურას სთხოვა ზავის მერე გვესტუმრეო. კომურამ უპასუხა, სიამოვნებით გესტუმრებით, თუ სხვა საქმეებმა არ დამაბანდაო.

პეტერბურგი, 2 აგვისტო. როდესაც მაკარიის გუბერნატორმა გუბერნია შემოიარა, ხალხმა სთხოვა: ხელმწიფე იმპერატორს ჩვენი უქვეშევრდომილესი გრძნობანი გარდაეცით და იშუამდგომლეთ, რომ ზავი ისე ჩამოაგდოს, რომ იაპონელებს არც კონტრიბუცია მისცეს და არც რუსეთის მიწის ერთი მტკაველი დაუთმოსო. გრაფ მედემის დამოწმებით, მაკარიის გუბერნიის მკვიდრნი მზად არიან ყოველივე შეწირულობა მოახდინონ მეფისა და მამულის საკეთილდღეოდ და ღმერთს ევედრებიან, რათა მან რუსეთის ჯარს გამარჯვება მიანიჭოს და შინაური არეულობა დააწყნაროს. უქვეშევრდომილესს მოხსენებაზე, რომელიც ამის გამო მინისტრმა წარუდგინა, ხელმწიფემ საკუთარის ხელით წააწერა: „წავიკითხე სიამოვნებით“.

პეტერბურგი, 2 აგვისტო. მოსკოვის გენერალ-გუბერნატორი დურნოვო ხელმწიფის გენერალ-ადიუტანტად დაინიშნა. დურნოვოს ძველი თანამდებობაც ისევ შერჩება.

ოდესა, 1 აგვისტო. პოლიტიკურ დამნაშავეების გალპერინისა, ლაპესი და ფიალკას რწმუნებულმა გაასაჩივრა სასამართლოს დადგენილება, რომლითაც დამნაშავეთ კატორღა გადაუწყვიტეს. სამხედრო ბრალმდებელმაც გაასაჩივრა სასამართლოს ეს დადგენილება, და სასამართლოს ედავება სიკვდილის მაგიერ კატორღა რად მიუსაჯეთო.

ტულონი, 1 აგვისტო. გუშინ ტულონის მახლობლად ლასენში რუსეთისათვის დამზადებული მეორე კონტრ-ნაღმოსანი ჩაუშვეს ზღვაში.

კანეია, 1 აგვისტო. რეტიმნოში რუსეთის რაზმის უფროსმა ურბანოვიჩმა სამხედრო წესები შემოიღო. აგრეთვე მოიქცა კანეაში და კანდიაში ინგლისის რაზმის უფროსი.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
18 აპრილიდან.
(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.), 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 საღამოს 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.)

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 6 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. წ. ს. 11) 6 7 წ.).

ე) ქუთაისიდან გამოდის.

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპანიდან: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ)

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—8

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება ახალი წიგნი
ბრძოლა არსებობისთვის
დრამატიული პოემა 4 მოქ. და 7 სურათად
და სხვადასხვა ლექსები და პოემები დ. გაბრუაშვილისა. ისყიდება წერა-კით. გამ. საზოგ. და სხვა წიგნის მაღაზიებში. ფასი 60 კ. (30—6—23)

ვ. შექსპირის თხზულებანი — ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნი
„რიჩარდ“, „მაკბეტ“, „კორიოლან“, „იულიოს კეისარი“, „ანტონიოს და კლეოპატრა“ და „ოტელო“
იყიდება ცალკე წიგნაკებად წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.
იქვე იყიდება გრიბოედოვის ცნობილი კომედია „ვაი ჭკუისაგან“, დ. განდეგილის თარგმანი, დრამატიულ საზოგადოების გამოცემა.

დაარსდა ახალი საწყობი კახურის ღვინისა
შემდეგის ფირმით:
კახეთის მევენახეთა ამხანაგობა
„ძმობა“
ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, სახლი დობრჟანსკისა.
ტელეფონი № 1036.

ბუხჰალტერი-სპეციალისტი
(წელიწადი მესამე)
ამზადებს წელს ბევრად ვრცელ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, თეორიულად და პრაქტიკულად, 1. ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, 2. საზოგადო სავაჭროსა, 3. ბანკისას, 4. კომერციულ არითმეტიკასა (საშუალო კომერც. სასწ. კურსია), 5. ფინანსიურ გამოანგარიშებასა, 6. არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, 7. კომერციულ კორესპონდენციასა, 8. ვაჭრობის ისტორიასა, 9. ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებში.
(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის).
სწავლა ყოველ დღე, საღამოს 5-დან 7 საათამდე. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელი კურსისა 60 მანათი. სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1905 წ.
ადრესი: ტფილისი, ალ. ვ. საათაშვილს, მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17 (კუკიაში), მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე, საღამოს 4-დან 8 ს-დის, კვირა-უქმეობით კი—დილის 9-დან 2 საათამდის.
მსმენელთ წელს გავაცნობ აგრეთვე სხვა საბუხჰალტერიო სისტემებსაც.
ვამზადებ ზემო-აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 7-დან 8 საათამდის შეეძლებათ სწავლა და, ამასთანავე, თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ, საზოგადო არითმეტიკასა და რუსულ ენაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ.
პროგრამა კურსებისა მსურველთ უფასოდ ეძლევათ და გაეგზავნებათ.
(15—11) ალ. ვ. საათაშვილი.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 2 Августа 1905 г.
ელექტრომბეჭდავი „ცისკარი“, ფრეილინის. ქ., № 5